




საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის გენდერული  
თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის  
ანგარიში

---

## სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა

---





საქართველოს პარლამენტის გენდერული  
თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის  
ანგარიში

სახელმწიფო ეკონომიკურ  
პროგრამებში ქალთა მონაწილეობა

2019



ბრიტანეთის საელჩო  
თბილისი

აღნიშნული ანგარიში მომზადდა და დაიბეჭდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით.

დათქმა: დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს

ანგარიში მოამზადა ანა დიაკონიძემ

## თემატური მოკვლევის შესახებ

---

თემატური მოკვლევის ჯგუფი "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ", შეიქმნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანია ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული სახელმწიფო პროგრამების ანალიზი გენდერულ ჭრილში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის.

თემატური მოკვლევა განხორციელდა 2019 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით.

ანგარიშის ხელმისაწვდომობა: საპარლამენტო თემატური მოკვლევის პროცესში მიღებული და გამოყენებული ყველა მასალა, დოკუმენტაცია, ანგარიშები, დასკვნები, ზეპირი მოსმენების სტენოგრამა და საბჭოს საბოლოო ანგარიში ელექტრონულად ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის: რუსთაველის გამზირი 8, 0114, თბილისი

ელ. ფოსტა: [grg@parliament.ge](mailto:grg@parliament.ge)


## თემატური მოკვლევის ჯგუფის შედეგდგენლობა:

---


თემატური მოკვლევის ჯგუფში შედიან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

ნინო წილოსანი - თემატური მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი და მომხსენებელი

- დიმიტრი ცქიტიშვილი
- ირინე ფრუიძე
- ნინო გოგუაძე
- გიორგი ტულუში



<b>ანგარიშის შეჯამება</b>	6
<b>1. შესავალი</b>	8
<b>2. ქალების მდგომარეობა ქართულ შრომის ბაზარზე</b>	9
<b>3. მოკვლევის მიზანი და მეთოდოლოგია</b>	13
<b>4. მოკვლევის ძირითადი შედეგები</b>	14
4.1. სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამები	14
4.2. ბენეფიციარების გამოცდილება	22
პროგრამებამდე მისვლა	22
ადმინისტრაციული პროცესი	23
კონსულტაციისა და დახმარების უწყვეტი საჭიროება	24
პროდუქციის რეალიზაცია	25
სესხის აღება და აქტივების ფლობა	26
<b>5. შედეგების ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების ფონზე</b>	28
<b>პროგრამებში ჩართვამდე: ქალების გაძლიერება და მოტივირება</b>	28
5.1. პროაქტიული მიდგომის აუცილებლობა	28
5.2. სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობა	33
<b>პროგრამაში ჩართვის შემდგომ</b>	34
5.3. წვდომა ფინანსებზე	34
5.4. ბიზნეს კონსულტირება და ტექნიკური დახმარება	38
5.5. მიწის საკითხი	39
5.6. პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა	43
5.7. პროგრამების სტრატეგიული მიზნებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკური დაკავშირების აუცილებლობა	46
<b>6. რეკომენდაციები</b>	48
<b>დანართები</b>	56
<b>ბიბლიოგრაფია</b>	61



## ანგარიშის შეჯამება

სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ საპარლამენტო მოკვლევის მიზანია შეისწავლოს ის ბარიერები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამებში ქალების დაბალ აქტიურობას განაპირობებს და შეიმუშავოს ამ დაბრკოლებათა დაძლევის რეკომენდაციები. მოკვლევის ფარგლებში შესწავლის ობიექტი იყო სსიპ „ანარმოე საქართველოში“ და სსიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროგრამები.

მოკვლევის პროცესში ჩართული იყვნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს როგორც წერილობით, ისე ზეპირი მოსმენების დროს. ასევე, მოკვლევის ჯგუფი სამჯერ შეხვდა პროგრამის მონაწილე ქალებს ჩოხატაურში, მარნეულსა და ზემო ნიქოზში.

მოკვლევის ფარგლებში, ერთი მხრივ, გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ქალებს პროგრამებამდე მისვლაში უშლის ხელს, მეორე მხრივ კი, პრობლემები, რომლებიც უშუალოდ პროგრამების დიზაინსა და განხორციელების მეთოდებს უკავშირდება. სტრუქტურული საკითხებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს საზოგადოებაში დამკვიდრებული შრომის გენდერული განაწილება, რომელშიც ქალები ძირითადად არაანაზღაურებადი საოჯახო შრომით არიან დაკავებული. ეს მათ დროს ნაკლებად უტოვებს სხვა სახის საქმიანობისათვის და ხშირად ქალებს არც კი უჩნდებათ სურვილი, ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამებში, თუნდაც იცოდნენ მათ შესახებ. ამასთანავე, ქალებს, კაცებთან შედარებით, ნაკლებად შეუძლიათ იმ ფინანსური რესურსის მობილიზება, რომელიც საჭიროა პროგრამებით გათვალისწინებული თანამონაწილეობისათვის. ბანკიდან სესხის აღების შესაძლებლობა კი შეზღუდული აქვთ, ვინაიდან, ტრადიციული შეხედულებებიდან გამომდინარე, მიწა და, ზოგადად, უძრავი ქონება მათ სახელზე ნაკლებადაა რეგისტრირებული. შედეგად, ისინი ვერ ახერხებენ სესხის უზრუნველყოფის პირობების დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებს, მათი მთავარი ხარვეზი ისაა, რომ ეს პროგრამები ძალიან მცირედით თუ ითვალისწინებენ ქალების წინაშე მდგარ ზემოხსენებულ სტრუქტურულ ბარიერებს. უფრო კონკრეტულად კი შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი საკითხები: აპლიკანტების მობილიზების არასაკმარისად აქტიური მექანიზმი, რომელიც ეფუძნება კონკურსის გამოცხადებას და არა პოტენციური ქალი აპლიკანტების მობილიზებას და მოტივირებას; განაცხადის გაკეთების პროცედურების სირთულე; დაფინანსების გაცემის შემდგომ ახალბედა მენარმეებისათვის საკონსულტაციო და სასწავლო სერვისის უქონლობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მინიმალური მხარდაჭერა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხში.



აღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციების ორი ჯგუფი. პირველი მიემართება სხვადასხვა სამთავრობო უწყებას და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა - ქალთა ბიზნესის სერთიფიცირება და ბრენდირება, გენდერულად მგრძობიარე შესყიდვის პრინციპების დანერგვა, მიწის რეგისტრაციის საკითხის გამარტივება და თანამესაკუთრების პრინციპის წახალისება, ეკონომიკური პროგრამების სახელმწიფო ეკონომიკურ/სავაჭრო პოლიტიკასთან ლოგიკური დაკავშირება და ფინანსებზე წვდომის ალტერნატიული წყაროების მოძიება. რაც შეეხება უშუალოდ მოკვლევის ფარგლებში შესწავლილ სააგენტოებს, მათთან დაკავშირებული რეკომენდაციები ეხება პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესებას, გენდერული სტატისტიკის წარმოებას, წარმატებული ბენეფიციარი ქალების (მენტორების) ქსელის შექმნას პროგრამებში უფრო მეტი ქალის მოსაზიდად, აპლიკაციის პროცესის გამარტივებას, კომერციულ ბანკებთან საშელავათო პირობების გაუმჯობესებაზე მოლაპარაკების დაწყებას, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების (დევნილებს, ეთნიკური უმცირესობებს) საჭიროებების გათვალისწინებასა და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერებას.

## 1. შესავალი

2012 წლიდან საქართველოში შეიქმნა რიგი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელთა მთავარი მიზანი ქვეყანაში მენარმეობის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული საქმიანობის ძირითად მაკოორდინირებელ ორგანოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს. სწორედ სამინისტროს მიერ 2014 წელს დაიწყო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, რომელიც ხორციელდება სამი უწყების მიერ: სსიპ ანარმოე საქართველოში, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (აპმა) და სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

აღნიშნული სააგენტოების მიერ განხორციელებული პროგრამების ანალიზი არაერთხელ ჩატარებულა. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ მიერ ჩატარებულმა ერთ-ერთმა ბოლო კვლევამ<sup>1</sup> გამოამჟღავნა მნიშვნელოვანი ხარვეზები აღნიშნულ პროგრამებში ქალთა ჩართულობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ქალი ბენეფიციარების რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება კაცი ბენეფიციარების წილს. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული პროგრამების გენდერული მგრძნობელობის გასაზრდელად კიდევ ბევრი რამის განხორციელება შეიძლება. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ეს პროგრამები განვიხილოთ ჰოლისტიურად იმ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელშიც ისინი მუშაობს/ფუნქციონირებს.

ამდენად, მენარმეობის განვითარების პროგრამებში ქალთა ჩართულობის შესწავლა კრიტიკული მნიშვნელობისაა ორი მიზეზის გამო: ა) ქალების ჩართულობა ნიშნავს იმას, რომ იკარგება სერიოზული ეკონომიკური პოტენციალი (ქალები სამუშაო ძალის თითქმის ნახევარს წარმოადგენენ საქართველოში) და ბ) იმის გათვალისწინებით, რომ ქალებსა და მამაკაცებს არათანაბარი ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, მნიშვნელოვანია მათთვის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება. აღნიშნულის დასადასტურებლად მომდევნო თავებში განხილულია ეკონომიკური უთანასწორობის გენდერული ასპექტები საქართველოში, უშუალოდ სახელმწიფო პროგრამების ანალიზი და მოკვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები.

<sup>1</sup> <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86671.pdf>

## 2. ქალების მდგომარეობა ქართულ შრომის ბაზარზე

ქალების ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში საგრძნობლად ჩამოუვარდება მამაკაცების მაჩვენებელს. კერძოდ, ქალებში დაბალია ეკონომიკური აქტიურობისა (58%) და დასაქმების (53%) მაჩვენებელი კაცების იმავე მაჩვენებლებთან შედარებით (78% და 67%) შესაბამისად.<sup>2</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, დასაქმების ძირითადი სექტორი როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის, სოფლის მეურნეობაა. თუმცა, აღნიშნულის მიღმა დასაქმებაში გენდერული სეგრეგაცია მაღალია. კერძოდ, ქალები უმეტესად მუშაობენ საბითუმო და საცალო ვაჭრობის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში. ხოლო კაცები უფრო ხშირად არიან დასაქმებული ინდუსტრიაში, ტრანსპორტსა და კომუნიკაციაში, ასევე - საჯარო ადმინისტრაციაში. ამავე დროს, ქალები უფრო მეტად გვევლინებიან ოჯახის დამხმარის როლში, ვიდრე დამსაქმებლად ან დაქირავებით დასაქმებულად.<sup>3</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმუშევრობა გაცილებით დაბალია ქალების შემთხვევაში (5%), ვიდრე კაცების (11%). აღნიშნული, ერთი მხრივ, განპირობებულია ქალებში ეკონომიკური აქტიურობის დაბალი მაჩვენებლით. თუმცა, ეს ასევე შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ, მართალია, ზოგადად ქალებს აქვთ შრომის ბაზარზე შესვლის ბარიერი, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ახერხებენ ბარიერის გადალახვას (ანუ ეკონომიკურად აქტიურდებიან), მაშინ გაცილებით მეტად ახერხებენ სამუშაოს პოვნას, ვიდრე მამაკაცები. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასაქმებული ქალების 50% კონცენტრირებულია არაფორმალურ სექტორში, დაბალანაზღაურებად, არაანაზღაურებად, სეზონურ ან ატიპურ სამუშაოებზე.<sup>4</sup> ამდენად, რიცხვებში გამოხატული უპირატესობა (უმუშევრობის უფრო დაბალი მაჩვენებელი) ხარისხობრივ განზომილებაში სულაც არ მიუთითებს ქალების უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საინტერესოა ისიც, რომ თუკი მიღებული განათლების დონესა და დასაქმების მაჩვენებლებს შევადარებთ, ქალებისთვის უმაღლესი განათლების მიღება აუცილებლობლად არ ნიშნავს დასაქმების უკეთეს შანსს. კერძოდ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქალებს (36%) კაცებთან შედარებით (28%) უფრო ხშირად აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება. სამუშაო ძალის მონაწილე ქალებსაც (43%) კაცებზე (30%) ხშირად აქვთ უმაღლესი განათლება. ამის საპირისპიროდ, სამუშაო ძალის მონაწილე კაცებს უმეტესად საშუალო განათლება აქვთ მიღებული. თუმცა, მათი დასაქმების მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება ქალების დასაქმების მაჩვენებელს.

<sup>2</sup> [geostat.ge](http://geostat.ge)

<sup>3</sup> [http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE\\_UNDP\\_Gender\\_Research\\_GEO.pdf](http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf)

<sup>4</sup> <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/resursi/kvlevebi/barriers-recommendations>

ცხრილი 1: შრომის ბაზრის ძირითადი ინდიკატორები სქესის მიხედვით

	ქალი	კაცი
ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი	58%	78%
დასაქმების მაჩვენებელი	53%	67%
უმუშევრობის მაჩვენებელი	5%	11%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018

ქალების ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მათი დაბალი ეკონომიკური აქტიურობის მიზეზების შესწავლა, რაც შესაძლებლობას მისცემს პოლიტიკის შემქმნელებს სწორად იმოქმედონ ეკონომიკური აქტიურობის გასაზრდელად მოსახლეობის აღნიშნულ ჯგუფში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დაბალი ეკონომიკური აქტიურობის უპირველესი მიზეზი საზოგადოებაში სამუშაოს გენდერული დაყოფა და ქალების მიერ განეული აუნაზღაურებელი შრომაა.<sup>5</sup>


ეკონომიკურ არააქტიურობას ქალები შემდეგნაირად ხსნიან: უმუშევარი ქალების 40% აღნიშნავს, რომ ისინი არ მუშაობენ „პირადი და ოჯახური მიზეზების“ გამო. გარდა ამისა, ქალების 24%-ს ურჩევნია დარჩეს სახლში და იზრუნოს შვილებზე, ვიდრე იმუშავოს. ხუთიდან ერთი ქალი, რომელიც არ მუშაობს, აღნიშნავს, რომ ასე მათი მეუღლეების სურვილით იქცევიან. შედარებისთვის: კაცების შემთხვევაში იგივე სურვილი აქვს ორმოცდაათიდან ერთს.<sup>6</sup>

დიასახლისის სტატუსის მქონე ქალები ოჯახის და პირადი საქმეების შესრულებას დროის 74%-ს უთმობენ და ამას ასახელებენ უმუშევრობის მიზეზად. იმ ქალებს, რომლებიც ამბობენ, რომ არ მუშაობენ, მაგრამ არც დიასახლისები არიან, მსგავს საქმიანობაზე დროის 37% ეხარჯებათ. ეს კი ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ სამუშაო ძალაში ქალებისა და კაცების მონაწილეობას შორის განსხვავების ძირითადი მიზეზი საოჯახო საქმეები, ანუ ქალის აუნაზღაურებელი შრომაა. აქ აუცილებელია ცალკე გამოიყოს მოვლის ვალდებულებები, რაც დისპროპორციულად აწვება ქალს. იმავე კვლევის მიხედვით, საქართველოში რეპროდუქციული ასაკობრივი ზღვარი (18-45) ასოცირდება ქალების ნაკლებ მონაწილეობასთან სამუშაო ძალაში. ამათგან, თუ 18-24 წლის ასაკში ძირითად მიზეზად განათლების მიღება სახელდება, ამ ასაკის შემდეგ კი მკვეთრად იზრდება უმუშევრობის მიზეზად დიასახლისობისა და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული ფუნქციების დასახელება.

<sup>5</sup> <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/gender%20analysis%20of%20the%20labour%20market%20regulations%20georgia%20armeniageo.pdf?la=ka&vs=240>

<sup>6</sup> იქვე

სურათი 1: სამუშაო ძალაში მონაწილეობის ალბათობა ასაკისა და სქესის მიხედვით




წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა, 2018

ქალების ეკონომიკური არააქტიურობის მეორადი განმაპირობებელი ფაქტორი ნაკლები ფინანსური მოტივაციაა, რაც გენდერულ სახელფასო განსხვავებაში გამოიხატება. საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომის საშუალო ნომინალური ანაზღაურება 2014 წელს დაფიქსირებული 36.9%-დან 2016 წელს 34.5%-მდე შემცირდა. თუმცა, ის ჯერ კიდევ მაღალია და გვხვდება ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში.<sup>7</sup>

როგორც სურათი 2 აჩვენებს, ქალები კაცებზე მნიშვნელოვნად ნაკლებ თანხას გამოიმუშავენ. ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ ისინი არ მუშაობენ, რადგან არსებულ სამსახურებში ანაზღაურება არასაკმარისია, მათ დატოვეს სამსახური არასაკმარისი ანაზღაურების გამო ან არასოდეს უძებნიათ სამსახური ძირითადად იმის გამო, რომ მათთვის ხელმისაწვდომ სამსახურში სათანადო ანაზღაურება არ იყო.

სურათი 2: ქალების ხელფასის თანაფარდობა კაცების ხელფასთან მიმართებაში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017

<sup>7</sup> <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/gender%20analysis%20of%20the%20labour%20market%20regulations%20georgia%20armeniageo.pdf?la=ka&vs=240>

არსებული კვლევები მიუთითებს იმაზეც, რომ სოფლად მცხოვრები ქალები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიხედვით<sup>8</sup> სოციალური თუ კულტურული ბარიერები და არაანაზღაურებადი სამუშაო ხელს უშლის სოფლად მცხოვრებელ ქალებს, გასცდნენ არსებობისთვის საკმარის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და აფერხებს მათ ჩართვას აქტიურ, შემოსავლის მომტან სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში. არსებული ტრადიციული გენდერული შეხედულებების გამო ქალები ნაკლებად არიან ჩართულები აქტივობებში თავიანთი შინამეურნეობის გარეთ. რაც შეეხება თავად სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, ყველა რეგიონში ქალი უფრო მეტ დროს ხარჯავს მეცხოველეობასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ვიდრე - კაცი. მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ღირებულებათა ჯაჭვზე დახარჯული სამუშაო დღეების რაოდენობის მიხედვით საქართველოს ყველა რეგიონში ქალები უფრო მეტს შრომობენ სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, ვიდრე კაცები. მაგალითად, კაცებთან შედარებით, ქალები საშუალოდ 80 დღით მეტს მუშაობენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, თუმცა მათი ჩართულობა ამ ძირითადად უფასო შრომაში აღიარებული არ არის. ეკონომიკურად აქტიური ქალების 26.8% მუშაობს უხელფასოდ და მათი 40% სწორედ რომ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

საბაზისო მომსახურებებსა და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომა შესაძლოა კიდევ უფრო აფერხებდეს შემოსავალზე ორიენტირებულ აქტივობებს. გამოკითხული რესპონდენტების 70%-ზე მეტს საკანალიზაციო სისტემებზე წვდომა შეზღუდული აქვს, 30%-ს კი არ აქვს წვდომა ნაგვის გატანის სერვისზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ პრობლემას უქმნის ქალებს, რადგან ამ სამუშაოს ისინი კაცებთან შედარებით გაცილებით უფრო ხშირად ასრულებენ. მოსახლეობის 30.8%-ს არ აქვს წვდომა საბავშვო ბაღებზე.<sup>9</sup>

ქალების ნაკლები მონაწილეობა ეკონომიკაში შედეგად გვაძლევს ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობის დაბალ დონესა და ქალების ცხოვრების დაბალ ხარისხს, რაც, ცხადია, საბოლოოდ უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. სხვა სიტყვებით, ქალების ეკონომიკური არააქტიურობა საზიანოა მთლიანად ქვეყნის განვითარებისათვის.

<sup>8</sup> <http://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/12/gender-assessment-of-agriculture-and-local-development-systems-in-georgia>

<sup>9</sup> იქვე

### 3. მოკვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საპარლამენტო მოკვლევას სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ ახორციელებს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით. მოკვლევის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა ჩართულობის ბარიერები და შეიმუშავოს რეკომენდაციები მათი მონაწილეობის გასაუმჯობესებლად. თემატური მოკვლევის ჯგუფში შედიან პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

- ნინო წილოსანი - თემატური მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი და მომხსენებელი
- დიმიტრი ცქიტიშვილი
- ირინე ფრუიძე
- ნინო გოგუაძე
- გიორგი ტულუში

მოკვლევის პროცესი მიმდინარეობდა 2019 წლის 11 მარტიდან 11 ივნისამდე პერიოდში. პირველ ეტაპზე გენდერული თანასწორობის საბჭოს მოწვევით მოკვლევის საკითხზე წერილობითი ანგარიში წარმოადგინეს დაინტერესებულმა პირებმა (ძირითადად სამოქალაქო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა). ჯამში შემოვიდა 12 განაცხადი,<sup>10</sup> რომელთაგან ზეპირ მოსმენაზე დაბარებულ იქნა 8 უწყება. ზეპირი მოსმენები მიმდინარეობდა 22 აპრილიდან 15 მაისამდე პერიოდში.<sup>11</sup>

აღნიშნულის პარალელურად მოკვლევაზე მომუშავე ჯგუფმა განახორციელა 3 საჯარო შეხვედრა პროგრამების ბენეფიციარ ქალებთან. შეხვედრები შედგა ჩოხატაურში, მარნეულსა და ზემო ნიქოზში. საერთო ჯამში შეხვედრებს დაესწრო 50-ზე მეტი ქალი. გარდა საჯარო შეხვედრებისა და საპარლამენტო მოსმენებიდან შემოსული ინფორმაციისა, კვლევის პროცესში შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტური მასალა (კანონმდებლობა, სამთავრობო დადგენილებები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები). განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვას.

ზემოხსენებული წყაროების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ანგარიშის ბოლო სექციაში.

<sup>10</sup> დეტალებისთვის იხილეთ დანართი 2

<sup>11</sup> დეტალებისთვის იხილეთ დანართი 3

## 4. მოკვლევის ძირითადი შედეგები

### 4.1. სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამები

წინამდებარე საპარლამენტო მოკვლევის ფარგლებში გაანალიზდა ორი უწყების მიერ განხორციელებული მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტები: სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (აპმა).

#### **სსიპ „აწარმოე საქართველოში“**

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ 2014 წელს შეიქმნა და იგი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრესი მიზანი მეწარმეობის გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაციაა. ბიზნესის განვითარების მიმართულებით პროექტს „აწარმოე საქართველოში“ 6 ძირითადი პროგრამა აქვს (იხ. ჩანართი 1). ამათგან, მოკვლევის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი იყო „მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამაზე“, რადგან წინასწარი ინფორმაციით სწორედ ამ კომპონენტში ქალი ბენეფიციარების ჩართულობა შედარებით მაღალია.

#### **ჩანართი 1: აწარმოე საქართველოში - პროგრამების მიმოხილვა**

პროგრამა აწარმოე საქართველოს ექვსი ძირითადი მიმართულება აქვს. ესენია:

**ინდუსტრიული მიმართულება:** ხდება მსხვილი ბიზნეს იდეების მხარდაჭერა. სესხის მინიმალური მოცულობაა 150 000ლ. მაქსიმალური - 5 000 000ლ. სააგენტო ახდენს საბანკო კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებას.

**სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი:** ხდება მხოლოდ სასტუმროს ბიზნესის დაფინანსება. სესხის მინიმალური მოცულობა - 200 000ლ. მაქსიმალური - 2 000 000ლ. სააგენტო ახდენს საბანკო კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებას.

**მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა:** საგრანტო კომპონენტი. მაქსიმალური დაფინანსება 5000ლ. ერთ მეწარმე სუბიექტზე.

**აწარმოე უკეთესი მომავლისთვის:** საგრანტო პროგრამა გამყოფის ხაზის ორივე მხარე მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის.

**გადაიღე საქართველოში:** ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროდიუსერების წახალისება კვალიფიციური ხარჯების 20-25%-ის უკან დაბრუნებით.

**საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი:** სიცოცხლისუნარიანი მცირე/საშუალო საწარმოებისათვის საკრედიტო გარანტიის მიცემა, რომელთაც არ შეუძლიათ სესხის უზრუნველყოფის წინაპირობების დაკმაყოფილება.

წყარო: <http://www.enterprisegeorgia.gov.ge>



მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში სააგენტოს მიერ დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა პროგრამის ახალ ან არსებულ ბენეფიციარზე ან პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფზე განისაზღვრება 20 000 (ოცი ათასი) ლარით. დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროა, პირველ რიგში, ონლაინ აპლიკაციის შევსება, რომლის საფუძველზეც გამოვლინდებიან საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორები და მათ უტარდებათ სპეციალური ტრენინგი ბიზნეს გეგმებისა და ზოგადი მენარმეობის მიმართულებით. მომზადებული ბიზნეს გეგმების კონკურსის გამარჯვებულები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ დაფინანსებას. პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება თანადაფინანსების თანხის არანაკლებ 20 (ოცი) პროცენტით, ხოლო პროგრამის არსებული ბენეფიციარის/პროგრამის ბენე-ფიციართა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება თანადაფინანსების თანხის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტით.

სააგენტოს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის ჰყავს ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციები, რომელთაც პროგრამით გათვალისწინებულ ოთხ ლოტზე საქართველოს რეგიონებში აქვთ ოფისები. კონტრაქტორები პასუხისმგებელი არიან მიკრო- და მცირე მენარმეობის პროგრამის ფარგლებში სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე პროგრამას ახორციელებენ კონტრაქტორი ორგანიზაციები, რომელთა პასუხისმგებლობაში შედის: პროგრამის პოპულარიზაცია, აპლიკანტებისათვის კონსულტაციების განევა, ტრენინგების ჩატარება, შემოსული განაცხადების გადარჩევა და სააგენტოსათვის პროექტების რეკომენდირება დაფინანსებისათვის.<sup>12</sup> ამდენად, კონტრაქტორს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა პროგრამის განხორციელებაში. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ იგი ითავსებს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ ფუნქციებსაც, როგორებიცაა, მაგ., პროექტების რეკომენდირება დაფინანსებისათვის და შერჩეული პროექტების მონიტორინგი.

## **გენდერული ასპექტი პროექტის „ანარმოე საქართველოში“ პროგრამებში**

მოკვლევის ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ მიკრო- და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის კომპონენტში 2015-დან 2018 წლის ჩათვლით ჯამში დაფინანსებული იყო 9380 ბენეფიციარი, რომელთაგან 3783 (40.3%) არის ქალი. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია პროგრამის ფარგლებში მოქმედ კვოტასთან: კერძოდ, კონტრაქტორებთან შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის თანახმად, დაფინანსებული პროექტების მინიმუმ 40% უნდა მოდიოდეს ქალ მენარმეებზე. ამასთანავე, თანაბარ პირობებში, ქალი მენარმის მიერ წარდგენილ პროექტს ენიჭება დამატებითი ქულა. დამატებითი ქულა განისაზღვრება ასევე დევნილის, ახალგაზრდისა და სტარტაპერის შემთხვევაში.<sup>13</sup>

<sup>12</sup> იქვე

<sup>13</sup> „ანარმოე საქართველოში“ უწყების საპარლამენტო მოსმენა

აღნიშნული სტატისტიკა არც ისე ცუდ შედეგებს აჩვენებს. თუმცა, თუკი წლების მიხედვით შევხედავთ, სიტუაცია გარკვეულწილად ცვალებადია. მაგალითად, 2018 წელს ჯამურად შემოსული 17 392 განაცხადიდან 7 459 (42.7%) იყო ქალის მიერ წარმოდგენილი. 899 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება, რომელთაგან 438 (45%) არის ქალი. სააგენტოს განმარტებით დაფინანსებაზე უარის თქმის ორი ძირითადი მიზეზია: 1. წარმოდგენილი პროექტი შეუსაბამოა პროგრამის მიზნებთან/ამოცანებთან და 2. მაღალი კონკურენციის პირობებში პროექტი ვერ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიკრო- და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გამონაკლისია. პროექტის „აწარმოე საქართველოში“ სხვა პროგრამებში, მაგალითად ინდუსტრიულ კომპონენტში, ქალთა ჩართულობა გაცილებით დაბალია. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იურიდიულ პირებს. არსებული სტატისტიკით ინდუსტრიულ კომპონენტში დღემდე დაფინანსებულია 400-მდე პროექტი. აღნიშნულ პროექტებში მენეჯერულ პოზიციებზე ქალების რაოდენობაა 111 (27%).

### **სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (აპმა)**

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2012 წელს დაარსდა სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. იგი ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო კომპანიას. ამჟამად სააგენტოში 9 მიმდინარე პროექტია (იხ. ცხრილი 2)<sup>14</sup> აღნიშნული პროექტების უმეტესობა საგრანტო ხასიათისაა, რაც სააგენტოს მხრიდან წარდგენილი პროექტის გარკვეული პროცენტით თანადაფინანსებას გულისხმობს. გაცემული გრანტით ბენეფიციარს შეუძლია სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტის შექმნა. გარდა ფინანსური დახმარებისა, პროექტებით ასევე გათვალისწინებულია აპლიკანტებისათვის საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარება. გრანტის მიღების შემთხვევაში ბენეფიციარს აქვს გარკვეული ფინანსური თანამონაწილეობის ვალდებულება. ძირითადად ეს მერყეობს 50%-დან 30%-მდე, თუმცა, რიგ შემთხვევაში ადის 80%-მდე, ხოლო „დანერგე მომავლის“ კენკროვნების ქვეკომპონენტი 100%-ით ფინანსდება. ასევე, რამდენიმე პროექტში მოთხოვნილია, რომ ბენეფიციარს საკუთრებაში ჰქონდეს ან იჯარით ფლობდეს მიწას, რომელზეც განხორციელდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

თანამონაწილეობისათვის საჭირო რესურსი აპლიკანტს შეუძლია დამოუკიდებლად დაფაროს ან მიმართოს ბანკს შეღავათიანი აგროკრედიტის ასაღებად. ეს უკანასკნელი ფერმერს შეუძლია დამოუკიდებელი პროექტის განხორციელებისთვისაც მიიღოს.

<sup>14</sup> ცხრილში არ შედის ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი, რომელიც ფერმერების მონაცემთა-ბაზის განვითარებას ისახავს მიზნად, ასევე სეზონური პროექტები.

ცხრილი 2: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტები.

No.	პროექტის სახელწოდება	პროექტის ძირითადი შინაარსი
1	დანერგე მომავალი	პროექტი შედგება მრავალწლიანი ბაღების, კენკროვანი კულტურების და სანერგე მეურნეობების ქვეკომპონენტებისაგან. მრავალწლიანი ბაღების და სანერგე მეურნეობების ქვეკომპონენტის ფარგლებში ხდება წარმოდგენილი პროექტის 50%-დან 80%-მდე თანადაფინანსება, ხოლო კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტის შემთხვევაში სახელმწიფოს დაფინანსება შეადგენს 100 %-ს.
2	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	„ფინანსდება ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 60% - 80%, ხოლო იჯარით აღებული პლანტაციების შემთხვევაში 70% - 90%-ით.“
3	აგრომენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა	ახალი აგროსაწარმოების განვითარების ან არსებულითა მუშაობის ხელშესაწყობად ხდება წარმოდგენილი პროექტის ღირებულების 40%-ით დაფინანსება. მოითხოვება მიწის საკუთრებაში ან იჯარით ფლობა.
4	შელავათიანი აგროკრედიტი	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოებისთვის კომერციული ბანკები გასცემენ შელავათიან კრედიტს.
5	ახალგაზრდა მენარმე	წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის ღირებულების 40%-ის დაფინანსება, მაგრამ არაუმეტეს 60 000ლ. დადგენილია ასაკობრივი ზღვარი: მამაკაცები: 18-35 წ. ქალები: 18-40 წ.
6	გადამამუშავებელი და შენახვითი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი	შეჩერებულია
7	აგროდაბლვევა	ფერმერთა აგროდაბლვევის სუბსიდირება. სადაბლვევო პოლისის ღირებულების 50%-დან 70%-მდე თანადაფინანსება
8	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა (ტექნიკის შესაძენად თანადაფინანსება)	შესასყიდი ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 150 000ლ.  პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა ბაზაში

შელავათიანი აგროკრედიტით სარგებლობის შემთხვევაში ბენეფიციარის ურთიერთობა სააგენტოსთან გაშუალებულია ბანკის მიერ. ფაქტობრივად, აპლიკანტს პირდაპირი შეხება არც უნევს სააგენტოსთან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სააგენტოს წარმომადგენელი მონიტორინგის მიზნით ეკონტაქტება მათ. აპლიკანტი პირდაპირ მიმართავს ბანკს და თუ პროექტი ბანკმა მოიწონა, ამტკიცებს სესხს.<sup>15</sup> საპროცენტო განაკვეთს ბანკი ადგენს საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა საპროცენტო განაკვეთების ოდენობა განსხვავდება სესხის მოცულობისა და იმის მიხედვით, თუ რომელ ვალუტაშია იგი გაცემული. ასევე, სააგენტოს შუამდგომლობით დაწესებულია ზედა ზღვარი წლიური 16%-ის ოდენობით.<sup>16</sup> სესხის დამტკიცების შემთხვევაში სააგენტოსა და ბანკთან მოლაპარაკების საფუძველზე სააგენტო დააფინანსებს გაცემული სესხის არაუმეტეს 24 თვის პროცენტს, მაქსიმუმ, წლიური 10%-ის ოდენობით.<sup>17</sup>

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ფუნქციონირებს 9 რეგიონში 54 მუნიციპალურ დონეზე თავისი ექსტენციის სამსახურით. აღნიშნული სამსახურები აერთიანებს აპმა-ს რეგიონულ ოფისებს, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფისებსა და ექსტენციის სამსახურებს.<sup>18</sup>

ექსტენციის ცენტრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში უშუალოდ სოფლებში სტუმრობითა თუ მასმედიის სხვადასხვა საშუალების დახმარებით (მაგ., ტელევიზია, სოციალური ქსელები და სხვ.).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აპმა-ს პროექტებში განაცხადის წარდგენა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც განაცხადი ელექტრონულად კეთდება, ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ თბილისში, ცენტრალურ ოფისში. საინტერესოა ისიც, რომ აპმა-ს პროექტებში განაცხადის წარდგენა უკვე ნიშნავს, რომ პროექტი დაფინანსდება სააგენტოს მხრიდან. ამდენად არ არსებობს შინაარსობრივი განსხვავება წარდგენილ და დაფინანსებულ პროექტებს შორის. აქვე უნდა ითქვას, რომ განაცხადის წარდგენა საკმაოდ შრომატევადი პროცესია (იხ. ჩანართი 2), რომლისთვისაც მთელი რიგი დოკუმენტაციის შეგროვებაა საჭირო. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია როგორც სააგენტოს ვებგვერდზე, ასევე შესაძლებელია კონსულტაციის მიღება ცხელ ხაზზეც. დოკუმენტაციის შეგროვება, თავის მხრივ, გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში ვიზიტს.

<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე პრინციპი მოქმედებს “ანარმოე საქართველოს” ინდუსტრიულ ქვე-კომპონენტში.

<sup>16</sup> <http://apma.ge/files/documents/zfF5qQOCIOGe.pdf>

<sup>17</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3078690?publication=0>

<sup>18</sup> სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს საპარლამენტო მოსმენა

## ჩანართი 2. დანერგე მომავალში განაცხადის გაკეთების ეტაპები:

მიმართვა ლაბორატორიაში ნიადაგის სინჯის ასაღებად და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად. (ლაბორატორიები არსებობს თბილისა და ოზურგეთში)

- ლაბორატორიული ანალიზის შედეგებისა და მიმართვის წარდგენა სსიპ “სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში”. ცნობის აღება, რომელიც ადასტურებს რომ გასაშენებელი კულტურა შესაბამისობაშია ნიადაგთან.
- საკუთარი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრში მიმართვა მიწის ნაკვეთის დამუშავების დასადასტურებლად.
- ყველა შესაბამისი ცნობის მიღების შემდეგ განაცხადის ფორმის შევსება და დოკუმენტაციასთან ერთად სააგენტოში (თბილისში) წარდგენა.

წყარო: [http://apma.ge/projects/read/plant\\_future/20:child](http://apma.ge/projects/read/plant_future/20:child)

აკმა-ს გარდა პროექტების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ეს უკანასკნელი 2013 წელს დაფუძნდა და მისი შექმნის მთავარი მიზები მცირე რესურსების (განსაკუთრებით ფრაგმენტირებული მიწის) მექონე ფერმერების გაძლიერება იყო. ამავდროულად სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო უწყებას, რომელსაც აქვს კოოპერატივების სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის შეწყვეტის მანდატი. პირველი კოოპერატივი 2014 წელს დარეგისტრირდა. დღევანდელი მონაცემებით კი ჯამში რეგისტრირებულია 1093 კოოპერატივი. აღნიშნულ კოოპერატივებში სულ გაერთიანებულია 10 964 მეპაიე, რომელთაგან 2 627 (24%) ქალია. ამ უკანასკნელთაგან 148 ქალი (5%) კოოპერატივის თავმჯდომარეა. ამდენად, ქალების აქტიურობა არც კოოპერატივების კომპონენტშია მაღალი და ჩართული ქალების ძალიან მცირე ნაწილს აქვს დაკავებული წამყვანი პოზიციები.

თუმცა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხოლოდ ქალების მიერ ფორმირებული კოოპერატივების საკითხი. ამჟამად ჯამში 57 ქალთა კოოპერატივი ფუნქციონირებს. სააგენტოს წარმომადგენელთა შეფასებით აღნიშნული კოოპერატივები (ასევე ისეთი კოოპერატივები, რომელთაც ქალი თავმჯდომარეები ჰყავთ) გაცილებით წარმატებულები არიან, თუკი ვიმსჯელებთ მათ მიერ განხორციელებული პროექტებით, მათი ცნობადობითა და იმიჯით.<sup>19</sup>

კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ძირითადი ფუნქციები, გარდა კოოპერატივების რეგისტრაციისა, მათი ტექნიკური გაძლიერებაა. ამ მიზნით სააგენტო ახორციელებს ტრენინგებს უწყვეტ რეჟიმში, როგორც დარგობრივ თემატიკაზე, ისე მენეჯმენტის მიმართულებით. ამასთანავე, ეხმარება კოოპერატივებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რათა მათ უკეთ შეძლონ მუშაობა. დღეისათვის ფუნქციონირებს 8 პროექტი. ყველა მათგანი ითვალისწინებს კოოპერატივებისათვის ან კოოპერატივების გაერთიანებისათვის გარკვეულ მატერიალურ დახმარებას თანადაფინანსების პრინციპით.

<sup>19</sup> ინტერვიუ, კოოპერატივების განვითარების სააგენტო

## გენდერული ასპექტი სოფლის მეურნეობის პროექტებში

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიხედვით გამოცხადებული პროექტები ღიაა ყველა მოქალაქისათვის და ისინი არ ითვალისწინებს გენდერული ნიშნით რაიმე განსაკუთრებულ პირობას. 2018 წელს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროექტში არსებობს კვოტა: ბიუჯეტის 30%-ის გაცემა უნდა მომხდარიყო ქალებზე და 30 წლამდე ახალგაზრდებზე. თუმცა ეს კვოტა მოიხსნა 2019 წელს, რადგან მისი შევსება ვერ მოხერხდა - ქალი აპლიკანტების დაბალი აქტიურობის გამო შეიქმნა რისკი, რომ ბიუჯეტი ვერ დაიხარჯებოდა და ამდენად სააგენტომ გადაწყვიტა კაცი აპლიკანტების წილის გაზრდა. ამჟამად, იკვეთება ერთადერთი გენდერულად მგრძობიარე მახასიათებელი „ახალგაზრდა მენარმის“ პროექტში, რომელშიც განსაზღვრულია მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფები. მამაკაცებისათვის ეს გახლავთ 18-დან 35 წლამდე, ხოლო ქალების ჩართულობის გაზრდის მიზნით ასაკობრივი ჯგუფი გაზრდილია 18-დან 40 წლამდე.<sup>20</sup>

ქალების გააქტიურების საკითხი კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შექმნის დროსვე იდგა. სააგენტოს მიერ განხორციელებული 8 პროექტიდან ორში რომ კოოპერატივმა კონკურსში მონაწილეობა შეძლოს, სხვა წინაპირობებთან ერთად ჩადებულია მოთხოვნა კოოპერატივის შემადგენლობაში ქალთა თანამონაწილეობის შესახებ. კერძოდ, თხილის წარმოების განვითარების პროგრამაში მოთხოვნილია, რომ განმცხადებლის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ან/და მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა 31%-ს უნდა შეადგენდნენ ქალები, ახალგაზრდები ან/და მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები.<sup>21</sup> ხოლო მეფუტკრეობის კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის პროგრამაში პრეტენდენტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა არანაკლებ 15%-ს უნდა შეადგენდნენ ქალები ან/და დევნილები. სააგენტოს განცხადებით, სხვა პროექტებში მსგავსი წინაპირობის ჩადება ვერ მოხერხდა, რადგან მეპაიეთა რაოდენობა იქ საერთოდ არ ფიგურირებს, როგორც შერჩევის კრიტერიუმი.

რაც შეეხება თავად პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებს, 2018 წელს განხორციელებული პროგრამების ჯამური გენდერული ბალანსი შემდეგია: 23% ქალი (15 400 ბენეფიციარი) და 77% მამაკაცი (52 100 ბენეფიციარი). სამწუხაროდ, სააგენტოში არ აღირიცხება შემოსული აპლიკაციები გენდერული დაყოფის ნიშნით. ამდენად, შეუძლებელია დავადგინოთ, რამდენად აქტიურობენ ქალები სხვადასხვა პროგრამაში ჩასართავად.

<sup>20</sup> <http://danida.apma.ge/>

<sup>21</sup> <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/213>

ცხრილი 3: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროექტებში მონაწილეთა სტატისტიკა

ბენეფიციართა სქესი	ბენეფიციართა რაოდენობა	თანადაფინანსების ოდენობა
ქალი	15 400 (23%)	25 031 000ლ. (14.1%)
კაცი	52 100 (77%)	152 562 000ლ. (85.9%)

არსებული მონაცემები (იხ. ცხრილი 3) ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ქალების აქტიურობა პროგრამებში დაბალია. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ისიც, რომ ქალთა ჩართულობა ყველაზე მაღალია ისეთ პროგრამაში (აგროდაზღვევის პროგრამა), რომელშიც თანადაფინანსების თანხობრივი ოდენობა ერთ ბენეფიციარზე სააგენტოს სხვა პროექტებთან შედარებით საგრძნობლად დაბალია. აღნიშნულიდან გამომდინარე ვიღებთ დისბალანსს ბენეფიციარების რაოდენობასა და მათი დაფინანსების პროცენტულ წილს შორის.

**დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო**

მართალია საპარლამენტო მოკვლევის მთავარი სამიზნე ზემოთ განხილული სააგენტოებია, თუმცა პროცესში ასევე მოუსმინეს დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს. ეს განაპირობა იმან, რომ თავისი მანდატიდან გამომდინარე აღნიშნული სააგენტოც ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ პროგრამებს ახორციელებს. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო 2014 წელს შეიქმნა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ, იგი გასცემს გრანტებს, რათა მოხდეს შემოსავლის არსებული წყაროების გაუმჯობესება ან ახალი წყაროების შექმნა. გარდა გრანტებისა, სააგენტო ასევე აფინანსებს დევნილთა გადამზადების, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაბამისი განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტოს სამოქმედო გეგმაში თავიდანვე იყო გათვალისწინებული 40%-იანი კვოტა ქალთა მონაწილეობაზე. სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით<sup>22</sup>, ხშირ შემთხვევაში, დაფინანსებული პროექტების ნახევარი ქალ ბენეფიციარებზე მოდის. ამდენად, კვოტის შესრულების პრობლემა აქამდე არ დამდგარა. მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებული რამდენიმე პროგრამა სოფლის მეურნეობის დარგშია. მაგ.:

<sup>22</sup> დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საპარლამენტო მოსმენა

ფინანსდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა. დევნილები, რომლებმაც ისარგებლეს „სოფლად სახლის“ პროგრამით, მიიღებენ დამატებით გრანტს რეგიონში ინტეგრირებისათვის, ასევე სააგენტო ეხმარება მათ სასათბურე-მეურნეობების მოწყობაში. ამ უკანასკნელი პროექტის ბენეფიციართაგან ნახევარზე მეტი ქალია.

სააგენტოს მიმდინარე წლის ბიუჯეტი 685 000 ლარია. თუმცა მომავალ წელს იგეგმება ბიუჯეტის 45 მლნ. ლარით გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად სააგენტოში ცვლილებები მიმდინარეობს: მის შემადგენლობაში გადადის დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც აქამდე სოციალური მომსახურების სააგენტოში იყო განთავსებული.<sup>23</sup> სააგენტოში არ ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ პროცესს რაიმე უარყოფითი გავლენა ექნება მიმდინარე პროგრამებზე.

## 4.1. ბენეფიციარების გამოცდილება

### პროგრამებამდე მისვლა

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ორივე პროგრამის შემთხვევაში გამოიკვეთა მოსახლეობამდე ინფორმაციის მიწოდებისა და მათი მოტივირების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ისე „ანარმოე საქართველოში“ მნიშვნელოვან ინვესტიციას დებენ საინფორმაციო კამპანიაში. ძირითადი საინფორმაციო არხები ორივე შემთხვევაში არის ადგილობრივი ტელევიზია და სოციალური ქსელები. სააგენტოების წარმომადგენლები ასევე სტუმრობენ სოფლებს, სადაც ხვდებიან მოსახლეობას. მოკვლევის ფარგლებში ორგანიზებული საჯარო შეხვედრების დროს ქალმა მენარმეებმა ასევე განაცხადეს, რომ მათ ტელეფონით უკავშირდებიან შესაბამისი უწყების ადგილობრივი წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღება და მის შინაარსში რეალური გარკვევა, რამაც ქალებს მონაწილეობის სურვილი უნდა გაუჩინოს. სამოქალაქო სექტორის მოსმენებისა და ასევე, საჯარო შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამების ცნობადობა იმდენად დიდი პრობლემა არ არის, როგორც ამ პროგრამებით ქალი ბენეფიციარების დაინტერესება შეიძლება ითქვას, აღნიშნული პროექტების შესახებ ქალების უმეტესობას ყურმოკვრით მაინც გაუგია, თუმცა მათი დიდი ნაწილისათვის ამ ინფორმაციას არ მიუცია ბიძგი უფრო მეტი გაეგოთ და ჩართულიყვნენ პროგრამაში.

შესაბამისად, იკვეთება, რომ არსებული დიზაინით პროგრამები გათვლილია აქტიურ და მოტივირებულ ქალებზე, რომლებიც მეტნაკლებად თავისუფალი არიან

<sup>23</sup> იქვე



კულტურული სტერეოტიპებისაგან, არიან დამოუკიდებლები და შესაძლებლობის გამოჩენის შემთხვევაში მზად არიან იმოქმედონ. მნიშვნელოვანია, პროგრამის დიზაინის დროს გათვალისწინებული იყოს სწორედ ის ფაქტი, რომ პოტენციური ბენეფიციარები (განსაკუთრებით სოფლად მაცხოვრებელი) აღნიშნულ მახასიათებლებს ნაკლებად აკმაყოფილებენ. საოჯახო თუ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ ქალს უფრო მეტი საუბარი და ახსნა-განმარტება სჭირდება იმისათვის, რომ მან პროგრამაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტოს.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ „წარმატებული ქალების“ გამოჩენამ სოფელში/ თემში სხვა ქალებიც შეაგულიანა. საჯარო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ იგი ბევრ თანასოფელს დაეხმარა და წააქეზა პროცესში ჩართულიყო.

“პროექტების წერა მე მეხერხება, დავდივარ და ველაპარაკები ქალებს, ვურჩევ, რა შეუძლია გააკეთოს, მე თუ გამომივიდა, მასაც შეუძლია გამოუვიდეს”- საჯარო შეხვედრის მონაწილე ჩოხატაურში

მსგავსი ისტორიები დაფიქსირდა მარნეულისა და ზემო ნიქოზის შეხვედრების დროსაც. ეს გვაფიქრებინებს, რომ წარმატებული ბენეფიციარების ისტორიის გაზიარება და თავად ქალებს შორის არაფორმალური ქსელების განვითარება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქალების პროგრამებამდე მიყვანაში.

### ადმინისტრაციული პროცესი

იმ შემთხვევაში, თუკი ქალი გადალახავს პირველ ბარიერს - სოციალურ-კულტურულ წინაღობას - და შესაბამის უწყებას მიაკითხავს აპლიკაციის პროცესის დასაწყებად, იგი უკვე სხვა სახის გამონვევას მიიღებს. პროგრამის „ანარმოდ საქართველოში“ მიკრო- და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის კომპონენტისაგან განსხვავებით, აკმა-ს საკმაოდ ბევრი და კომპლექსური პროექტი აქვს, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე. თუმცა, ციფრული უნარ-ჩვევების ფაქტობრივად არარსებობა (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის) მნიშვნელოვანი წინაღობაა, რომ მათ დამოუკიდებლად მოახდინონ ნავიგაცია, შეისწავლონ თითოეული პროექტი და გადაწყვიტონ, რომელი მათგანი უფრო შეესაბამება მათ იდეას.

გარდა პრაქტიკული სირთულეებისა, მნიშვნელოვანია დროის საკითხი: ქალები აღნიშნავდნენ, რომ სწორი ხელმძღვანელობის შემთხვევაში ამ პროცედურების გავლა არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ მთლიანი პროცესის ონლაინსივრცეში არსებობა მათ თავიდანვე უიმედოდ განაწყობს, რადგან ფიქრობენ, რომ სანამ აღნიშნულში გაერკვევიან, სჯობს დახმარება სხვას სთხოვონ. საჯარო შეხვედრების

მონაწილე ქალების უმრავლესობას ელექტრონული აპლიკაციის შევსების პროცესში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები დაეხმარნენ. ცხადია, თუკი საახლობლოში ასეთი ადამიანი ვერ მოიძებნა, მაშინ ქალებს უწევთ სხვა საშუალებების მიმართონ. განაცხადის გასაკეთებელად მრავალი ინსტანციის გავლა და დედაქალაქში ხშირი ვიზიტის საჭიროება, ფაქტობრივად მთლიანად გამორიცხავს ქალების მონაწილეობას აღნიშნულ პროცესში.

ბენეფიციარების მხრიდან განსაკუთრებულ სირთულედ დასახელდა თავად პროექტის დაწერა. მართალია, ორივე პროგრამის შემთხვევაში აპლიკანტებს უტარდებათ სპეციალური ტრენინგი, ქალების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში ისინი პროექტის დასაწერად მაინც ახლობლებს/ნაცნობებს მიმართავენ, რაშიც სპეციალური საფასურის გადახდაც უწევთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ადმინისტრაციული საკითხები (აპლიკაციის შევსება და დოკუმენტებთან ურთიერთობა) განსაკუთრებით პრობლემურად დასახელდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მხრიდან. ისინი ხშირ შემთხვევაში ქართულ ენას არ ფლობენ და ქართულენოვან დოკუმენტაციაზე ახლობლების/მეგობრების დახმარებით უწევთ მუშაობა.

### კონსულტაციისა და დახმარების უწყვეტი საჭიროება

სხვადასხვა პროექტის მონაწილე ქალებთან საუბრისას ნათელი ხდება, რომ წარმატებული საქმიანობისათვის მხოლოდ დაფინანსების მიღება არ არის საკმარისი. პროგრამების მონაწილე ქალების უმეტესობისათვის ეს მეწარმეობაში ჩაბმის პირველი გამოცდილებაა. შესაბამისად, მათ განვითარების საწყის ეტაპზე ესაჭიროებათ მუდმივი მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს:

- ბიზნესკონსულტაციას;
- ტრენინგებს/სწავლებას სხვადასხვა თემატიკაზე საქმიანობიდან გამომდინარე. თუმცა რამდენიმე საკითხი დასახელდა თითქმის ყველა ჯგუფში, მაგ., როგორცაა პროდუქციის ეტიკეტირება, რეალიზების სტრატეგიები და ა.შ.

გარდა კონსულტაციებისა, ასევე აღნიშნული იყო განმეორებითი დაფინანსების საკითხი. მართალია არსებული დიზაინით არცერთი პროგრამა არ კრძალავს ბენეფიციარის განმეორებით დაფინანსებას,<sup>24</sup> თუმცა პრიორიტეტი ენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომლებსაც დახმარება სახელმწიფოსგან არ მიუღია. ბენეფიციართა ნაწილისათვის ეს საკითხი ცნობილი არ იყო და ხელმეორედ გრანტის/სესხის აღების შეუძლებლობას დიდ პრობლემად ასახელებდნენ. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი ბენეფიციარის განცხადებით:

<sup>24</sup> „აწარმოე საქართველოში“-ს ცალკე კონკურსიც კი ჰქონდა გამოცხადებული უკვე არსებული ბენეფიციარებისათვის განმეორებითი დაფინანსების მოსაპოვებლად

„იმის ფონზე, რომ საწყისი დაფინანსება ძალიან მცირეა, ისედაც საკმარისი არ არის თანხა და (ამიტომ) ხელმეორედ გრანტის აღება უნდა შეიძლებოდეს, რომ გარკვეულ შედეგზე გავიდეთ“. - საჯარო შეხვედრის მონაწილე, მარნეული

მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ მართალია, ერთი მხრივ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გრანტის სიმცირის გამო, მეორე მხრივ, აცხადებდნენ, რომ თანამონაწილეობის წილი (რაც მოცემული ეტაპისათვის 20%-ს შეადგენს) მათთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა:

„ჩემი წილი, სადღაც, 1000 ლარამდე იყო, რაც უნდა დამედო და ისიც ძლივს შევაკონჩინე, საქონლის გაყიდვა მომიწია“. - საჯარო შეხვედრის მონაწილე, ჩოხატაური

იმის ფონზე, რომ არცერთი სააგენტო არ აწარმოებს გაცემული გრანტით/სესხით დაფინანსებული პროექტების გრძელვადიან მონიტორინგს და შეფასებას, არ არსებობს ადგილობრივი გამოცდილება, რომელსაც დავეყრდნობოდით აღნიშნული ფინანსური საკითხების დიზიანის პროცესში. ამდენად, ერთადერთი წყარო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლაა (იხ. ნაწილი 5).

## პროდუქციის რეალიზაცია

პროგრამის ბენეფიციარები, განსაკუთრებით პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო- და მცირე მენარმეობის გრანტის მომპოვებლები, ყველაზე დიდ პრობლემად პროდუქციის რეალიზაციას ასახელებენ. საინტერესოა, რომ, მათი აზრით, პროგრამის ხელმისაწვდომობასა და ჩართვაზე უფრო მტკივნეული საკითხი სწორედ ნაწარმეობი პროდუქციის გაყიდვას ეხება. იქიდან გამომდინარე, რომ მათი უმეტესობა, ცხადია, მცირე და/ან მიკრო მენარმეა, ისინი თავს დაუცველად გრძნობენ ბაზარზე და კონკურენციაში შესვლა უჭირთ მსხვილ კომპანიებთან, რომ არაფერი ვთქვათ პროდუქციის ექსპორტზე.

მენარმე ქალების მიერ დასახელებული იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ისინი ვერ ახერხებენ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობას. როგორც ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს:

“ტენდერებში ისეთი პირობებია ჩადებული, რომ მონაწილეობას ვერ ვიღებთ, თურქეთიდან შემოდის მცენარეები იმაზე გაცილებით ძვირად, ვიდრე მე მომყავს და გაცილებით დაბალი ხარისხის. გულდასაწყვეტია, რომ სახელმწიფო, რომელიც ერთი მხრივ გვაფინანსებს, მეორე მხრივ, საერთოდ არ ინტერესდება, რამდენად გავყიდი ამ პროდუქტს”. - საჯარო შეხვედრის მონაწილე, ჩოხატაური

პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით ასევე ბევრი ფერმერი ქალი აღნიშნავდა იმას, რომ სოფელში/რაიონში სამაცივრე ან სასაწყობე მეურნეობების არარსებობა მნიშვნელოვნად უზღუდავდა მათ პროდუქტის შენახვის და მთელი სეზონის განმავლობაში გაყიდვის, ან სეზონის მიღმა გაზრდილი ფასებით რეალიზაციის შესაძლებლობას.

### სესხის აღება და აქტივების ფლობა

როგორც წინა თავში იყო განხილული, ბენეფიციარს აქვს შესაძლებლობა აიღოს შეღავათიანი აგროკრედიტი თავისი თანადაფინანსების წილის დასაფარად ან დამოუკიდებელი პროექტის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში პოტენციური ბენეფიციარისათვის ბანკთან ურთიერთობა არის უმნიშვნელოვანესი, რადგანაც მათი პროექტში ჩართვა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, დაუფინანსდებათ თუ არა საპროექტო იდეა. დაფინანსების მიღების შემდეგ კი სააგენტო შემოდის თამაშში, იღებს რა თავის თავზე საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას.

ქალი ბენეფიციარების მხრიდან განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ სესხზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთი არის „კაბალური“<sup>25</sup> და ამავდროულად, ბანკების მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფა ქალებისათვის ძალიან დიდი დაბრკოლებაა.

ბანკებთან ურთერთობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაშიც, რომ პოტენციურ აპლიკანტს ამ ეტაპზე არავითარი ტრენინგი და კონსულტაცია არ აქვს მიღებული, შესაბამისად, კრედიტოფიცერთან ბიზნესგეგმის ჩამოყალიბება და მისი დარწმუნება პროექტის სიცოცხლისუნარიანობაში ბევრისთვის არცთუ ადვილი დავალებაა.

<sup>25</sup> “ანარმოე საქართველოს” ცალკე კონკურსიც კი ჰქონდა გამოცხადებული უკვე არსებული ბენეფიციარებისათვის განმეორებითი დაფინანსების მოსაპოვებლად

ბანკების მხრიდან მოთხოვნილი უზრუნველყოფა, როგორც წესი, გულისხმობს ან მიწის ნაკვეთით, ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფას. მსგავსი სახის უძრავი ქონება კი ქალის სახელზე იშვიათად არის რეგისტრირებული. როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაცია აღნიშნავს: „მიწაზე და სხვა აგრარულ რესურსებზე წვდომა თეორიულად კაცებსა და ქალებს თანაბრად აქვთ, პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ქალებს უფრო ნაკლები ალბათობით გააჩნიათ იმ ქონების კანონიერად დაცვის საშუალება, რაც მათ სახელზეა რეგისტრირებული“.

ცხადია, აღნიშნულიდან გამომდინარე სესხის აღება ბანკიდან ქალისათვის უფრო რთულია, ვიდრე კაცისთვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიწის საკითხი ქალებს ხელს არამხოლოდ სესხის საკითხში უშლით. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, აპმა-ს რიგი პროექტების შემთხვევაში სავალდებულო პირობაა მიწის საკუთრებაში ფლობა. შესაბამისად, ქალების მონაწილეობა რთულდება ისეთ პროექტებშიც კი, სადაც სესხის აღება არ არის საჭირო და თანადაფინანსება გრანტის სახით გაიცემა.

აღსანიშნავია, რომ მიწასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები იკვეთება იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში. დევნილობამ მათ ავტომატურად დააკარგვინა წვდომა ყველანაირ რესურსზე, მათ შორის - მიწაზე. მართალია, მათ საკუთრებაში გარკვეული მიწა გადასცა სახელმწიფომ, თუმცა ამ მიწების გამოყენებას მაინც ბევრი სირთულე ახლავს თან. მაგალითად, იმისათვის რომ სახელმწიფო ირიგაციის პროგრამით ისარგებლონ, აუცილებელია, რომ ნაკვეთიდან 500 მეტრში მდებარეობდეს წყარო ან ტბა. იქიდან გამომდინარე, რომ დევნილები თავად არ ირჩევენ მიწის ნაკვეთებს. ეს პირობა ხშირად არ არის დაკმაყოფილებული.<sup>26</sup>

<sup>26</sup> იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია “თანხმობა”, საპარლამენტო მოსმენა

## 5. შედეგების ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების ფონზე

მანამ, სანამ მოკვლევას ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და შედეგების კომპლექსურ ანალიზზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განხორციელებული პროგრამების გრძელვადიანი შედეგების კვლევა და ანალიზი არცერთი სააგენტოს ძლიერ მხარეს არ წარმოადგენს. ისინი პირდაპირ აღნიშნავენ, რომ მსგავსი სახის შეფასებებს არ აკეთებენ, როგორც წესი, შეზღუდული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე. ცხადია, დაფინანსებული ბენეფიციარების გრძელვადიანი მონიტორინგი საკმაოდ ძვირია და გასაგებია ცდუნება, არსებული მწირი რესურსები პროექტების დაფინანსებისკენ წარმართოს და არა - მათ შეფასებაზე. თუმცა უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ მსგავსი შეფასების რეგულარული წარმოების გარეშე სახელმწიფო ვერასდროს გაიგებს რამდენად ეფექტიანად დახარჯა რესურსი, არსებული პროგრამებიდან რომელი უფრო ეფექტურია და ა.შ.

ზემოაღნიშნულის ფონზე ერთადერთი გამოსავალია საერთაშორისო პრაქტიკაში ვეძიოთ კითხვებზე პასუხი, თუმცა ეს თავისთავად მხოლოდ თეორიული სავარჯიშო შეიძლება იყოს, ვინაიდან შეულებელია სხვა ქვეყნების მაგალითები ზუსტად გვეუბნებოდეს, რა იმუშავებს და რა არ იმუშავებს საქართველოს შემთხვევაში. თუმცა, ცხადია, ეს უკანასკნელი საკმაოდ ღირებული ინფორმაციისა და ახალი იდეების გენერირების წყარო შეიძლება აღმოჩნდეს.

მოცემულ თავში გაანალიზებული იქნება ის საკითხები, რომლებიც ყველაზე პრობლემურად გამოიკვეთა მოკვლევას პროცესში. ასევე განხილული იქნება სამოქალაქო საზოგადოებისა და ბენეფიციარების მოსაზრებები პრობლემების გადაჭრის გზასთან დაკავშირებით და იმავე (ან მსგავს) პრობლემებზე სხვა ქვეყნების გამოცდილება.

### პროგრამებში ჩართვამდე: ქალების გაძლიერება და მოტივირება

#### 5.1. პროაქტიული მიდგომის აუცილებლობა

აღბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოკვლევაში ჩართული სააგენტოებისათვის იმის გაცნობიერება უნდა იყოს, რომ თუნდაც იმ შემთხვევაში როდესაც ისინი ბარიერებს არ უქმნიან ქალებს პროგრამაში ჩართვის გზაზე, ქალ აპლიკანტებს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული პრობლემების გამო მაინც ბევრი ბარიერის გადალახვა უწევთ, სანამ სააგენტოს კარამდე მიაღწევენ. აქედან გამომ-

დინარე აუცილებელი ხდება პროაქტიული მიდგომა, რომელშიც საინფორმაციო კამპანიის წარმოება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მიმართულებით მოკვლევის ფარგლებში შესწავლილ პროგრამებში საკმაოდ დაღისხმევა იდება, თუმცა სასურველი შედეგი ჯერ კიდევ მიღწეული არ არის. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის მიწოდებისათვის საჭიროა უფრო პროაქტიული მიდგომა, თუნდაც, კარდაკარ სიარული. ცხადია, მოკვლევის სამიზნე სააგენტოებისაგან აღნიშნულის დამოუკიდებლად განხორციელება დამატებით დაღისხმევას მოითხოვს. თუმცა აქ მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთაც მოსახლეობასთან მუშაობისა და მობილიზების საკმაოდ გამოცდილება აქვთ. თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა თითქმის ყველა არასამთავრობო, რომელიც ჩართული იყო მოკვლევის პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ ინფორმაციის გავრცელებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია ქალების მოტივირება, ჩაერთონ აღნიშნულ პროგრამებში. საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ქალის მონაწილეობა გადანაცვლების მიღების პროცესში და, ზოგადად, სოციალურ აქტივობებში ძალიან დაბალია, განსაკუთრებით სოფლებსა და რეგიონულ დასახლებებში. შესაბამისად, ქალები ხშირად ვერც ხედავენ საჯარო აქტიურობის საჭიროებას და საკუთარ როლს მხოლოდ საოჯახო საქმეების შემსრულებლებად აღიქვამენ. სახელმწიფო პროგრამებზე გამოხმაურების დაბალი დონე დიდწილად სწორედ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას. ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების შეფასებები განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში გვიჩვენებს, რომ ავტონომიურობა ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.<sup>27</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ქალს არა აქვს იმის შეგრძნება, რომ მას დამოუკიდებლად რაიმეს გაკეთება შეუძლია, ძალიან რთული იქნება მისი ჩართვა მენარმეობის პროგრამებში.

ცხადია, აღნიშნულ პრობლემის მიზეზი კულტურული და სოციალური სტერეოტიპებია და მისი აღმოფხვრა რომელიმე კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ძალიან რთულია. კვლევები მიუთითებს იმაზეც, რომ გენდერული სტერეოტიპები უარყოფითად მოქმედებს ქალების მოტივაციაზე.<sup>28</sup>

სხვადასხვა ქვეყნის/პროგრამის მიმოხილვა აჩვენებს, რომ პრობლემის აღმოფხვრაში გადამწყვეტი როლი უკვე წარმატებული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ენიჭება. ეს უკანასკნელი სხვადასხვა სცენარით შეიძლება განხორციელდეს:

<sup>27</sup> <http://documents.worldbank.org/curated/en/864621468337180679/pdf/WPS7087.pdf>

<sup>28</sup> <https://www.oecd.org/cfe/smes/Policy-Brief-on-Women-s-Entrepreneurship.pdf>



ა) წარმატებული ქალების ისტორიების პოპულარიზაცია;



ბ) წარმატებული ქალების ქსელის შექმნა, რომლებიც საჯარო ღონისძიებებს აწყობენ და სხვა ქალებს რთავენ ბიზნესში;



გ) წარმატებული ქალების საშუალებით მენტორთა ქსელის შექმნა და მათი აგიტატორებად გამოყენება.

ადვილი შესამჩნევია, რომ ზემოჩამოთვლილი მიდგომები დალაგებულია შედარებით მარტივიდან უფრო რთულ სცენარებამდე, რომლებშიც წარმატებული ქალების ჩართულობის დონე ეტაპობრივად იზრდება. ამათგან პირველი საქართველოში მეტ-ნაკლებად ხორციელდება, თუმცა ფაქტია, რომ ტელეეთერით გაშუქებულმა სიუჟეტებმა და ისტორიების პოპულარიზაციამ ვერ მოგვითანა სასურველი შედეგი.

რაც შეეხება მეორე მიდგომას, აქ საინტერესო გამოცდილება აქვს გერმანიას (იხ. ჩანართი 3).<sup>29</sup> უკვე წარმატებული, შემდგარი ბიზნესმენი ქალები ქსელში ერთიანდებიან და საწევრო გადასახადსაც იხდიან. თუმცა გერმანიის გამოცდილების მორგება მაინც შესაძლებელია ქართულ რეალობაზე. საჯარო შეხვედრების დროს უკვე შესაძლებელი იყო წარმატებული ქალების იდენტიფიცირება. ისინი, როგორც აღმოჩნდა, უკვე ისედაც ასრულებენ მულტიპლიკატორების ფუნქციას: ესაუბრებიან სოფელში სხვა ქალებს, ნაახალისებენ მათ და ხშირად წარმატებული ქალების ზეგავლენით ბევრ ქალს მიუღია პროგრამებში მონაწილეობა. შესაბამისად, ადამიანური რესურსი, რომელიც მენტორების სახით შეიძლება იყოს ჩართული პროგრამების განხორციელებაში, უკვე არსებობს. სააგენტოებს საკმაოდ ადვილად შეუძლიათ ასეთი ქალების იდენტიფიცირება თავიანთ ბენეფიციარებს შორის.

### ჩანართი 3: წარმატებული მენარმე ქალების ქსელი - Frauen Unternehmen

აღნიშნული ქსელი შექმნილია ფრაიბურგში (გერმანია) და ამჟამად ფუნქციონირებს, როგორც მენარმე ქალთა ეკონომიკური გაერთიანება. განვერიანება აპლიკაციის საფუძველზე ხდება და წევრების უმთავრესი ფუნქციაა საჯარო შეხვედრების ორგანიზება და მათი საშუალებით მეტი ქალის მობილიზება ბიზნესში. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს ვიზიტებს უნივერსიტეტებში, სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში. ასევე ქსელი საშუალებას აძლევს ახალბედა და უფრო გამოცდილ წევრებს ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ.

წყარო: <http://www.frauenunternehmen.de/seite/bund-der-selbstaendigen-bds>

<sup>29</sup> <https://www.oecd.org/cfe/smes/Policy-Brief-on-Women-s-Entrepreneurship.pdf>



ზემოთ დასახელებული სამი სცენარიდან მესამე სიტუაცია წარმატებული ბენეფიციარებისაგან ყველაზე მეტ ჩართულობას მოითხოვს და მისი განხორციელება, შესაბამისად, უფრო ძვირი დაჯდება. თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ინდივიდუალურ მენტორის ყოლის შემთხვევაში პროგრამაში ჩართული ქალები ყველაზე კარგად ახერხებენ შესაძლებლობების რეალიზებას. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მენტორის სწორად შერჩევას.<sup>30</sup> თუმცა ქართული კონტექსტიდან გამომდინარე მენტორებმა განსაკუთრებული როლი ქალების პროგრამაში ჩართვამდე პერიოდში უნდა ითამაშონ. ცხრილი ნომერი 3 მოცემულია მენტორების პროგრამაში ჩართვის, მათი ფუნქციებისა და წახალისების მექანიზმების პოტენციური შეთავაზებები. საკუთარი პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, სააგენტოებს ყველაზე უკეთ თავად შეუძლიათ მსგავსი ინიციატივის დიზაინის შემუშავება.

იმისათვის, რომ მენტორების (წარმატებული ბენეფიციარების) ქსელმა კარგად იმუშაოს, მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. როგორც უკვე აღინიშნა, ორივე პროგრამას აქვს რეგიონული ოფისები. თუმცა, რეგიონის ცენტრში ექსტენციის ცენტრის ან პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ოფისის არსებობა შეიძლება არასაკმარისად მივიჩნიოთ, რადგან საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ პროგრამები ბენეფიციარებთან მაქსიმალურად ახლოს უნდა ხორციელდებოდეს. პროგრამის მონაწილე ქალები ხშირად წუხან, რომ სოფლიდან არათუ რეგიონულ ცენტრში, არამედ მეზობელ სოფელში გადასვლაც კი მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს მათგან.

შედარებით უკეთესი რეგიონული ინფრასტრუქტურა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აქვს, რომელიც ექსტენციის ცენტრების მეშვეობით 56 მუნიციპალიტეტში არის წარმოდგენილი. თუმცა, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუნიციპალურ დონეზე სხვა მნიშვნელოვანი რესურსიც არსებობს. ამჟამად 19 მუნიციპალიტეტში არსებობს ე.წ. „ქალთა ოთახები“, რომლებიც მუნიციპალიტეტის შენობაშია განთავსებული და თითოეულში მოწყობილია „საბავშვო კუთხეები“. ასევე რამდენიმე მუნიციპალიტეტში არსებობს ფონდ „ტასოს“ მიერ შექმნილი თვითდახმარების ჯგუფები.

ჰიპოთეტურად პროგრამების რეგიონული ინფრასტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ (იხ. სურათი 3): რეგიონული ცენტრების დონეზე წარმოდგენილია პროგრამების რეგიონული ოფისები, მათი ძირითადი ფუნქციაა ტრენინგი/სწავლება და უკვე დაფინანსებული ბენეფიციარების კონსულტირება. პარალელურად აუცილებელია მუნიციპალურ დონეზე ისეთი სივრცის არსებობა, რომელიც სოფლებიდან ქალების რეკრუტირებაზე იქნება ფოკუსირებული. ამ თვალსაზრისით შეიძლება „ქალთა ოთახებისა“ და „თვითდახმარების ჯგუფების“ მუნიციპალურ დონეზე არსებულ სივრცეებს განსაკუთრებული დატვირთვა მიეცეს პოტენციურ აპლიკანტთა პირველადი კონსულტირების თვალსაზრისით. კონსულტირებაში,


<sup>30</sup> <https://www.oecd.org/cfe/smes/Policy-Brief-on-Women-s-Entrepreneurship.pdf>

ცხრილი 3: პროგრამებში მენტორების ჩართულობის სავარაუდო მოდელი

<p>როგორ შევარჩიოთ მენტორი ქალები?</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- არსებული ბენეფიციარებიდან აქტიური ქალების იდენტიფიცირება;</li> <li>- აპლიკაციის პროცესში გრაფის დამატება, სადაც დაინტერესებული პირები აღნიშნავენ აქვთ თუ არა სურვილი დაფინანსების შემთხვევაში გახდნენ მენტორები;</li> </ul>
<p>რა შეიძლება იყოს მათი ფუნქციები?</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამიზნე რაიონში კარდაკარსიარული პოტენციური ქალი ბენეფიციარების პროგრამაში მოსაზიდად;</li> <li>- ქალებისათვის პირველადი კონსულტაციის გაწევა პროგრამის შინაარსის შესახებ და დახმარება, მთავარი თავიანთი იდეები სახელმწიფო პროგრამებს;</li> <li>- აპლიკაციის შემთხვევაში რეკომენდაციის გაცემა, რისი არსებობაც სააგენტოს მხრიდან დამატებითი ქულით შეფასდება.</li> </ul>
<p>როგორ უნდა მოხდეს მათი წახალისება რომ ჩაერთონ პროგრამაში?</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- მონაწილეობა სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში საკუთარი ბიზნესის პოპულარიზაციის მიზნით;</li> <li>- თანადაფინანსების მეტი პროცენტი სააგენტოს მხრიდან;</li> <li>- განმეორებითი დაფინანსების მიღების გაზრდილი შანსი.</li> </ul>

პირველ რიგში, იგულისხმება დაინტერესებული პირის ორიენტირება სახელმწიფო პროექტებში და დახმარება, რომ კონკრეტული იდეა კონკრეტულ პროგრამას მოარგონ.

სურათი 3: მენარმეობის პროგრამების განხორციელების ჰიპოთეტური სტრუქტურა



აღნიშნული ცენტრები ამავდროულად შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც მენტორების ბაზა, საიდანაც ისინი განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, მენტორების პროგრამაში ჩართვა შეიძლება არ განხორციელდეს ფორმალურად, სავალდებულო არაა ისინი გახდნენ სახელმწიფო უწყების ან დონორი ორგანიზაციის თანამშრომლები, თუმცა მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სარგებლის სახით მათ სთავაზობენ: პროფესიული განვითარების უფასო ტრენინგს, სხვა ბიზნესებთან კავშირის დამყარების შესაძლებლობებს, საკუთარი ბიზნეს პროდუქციის/სერვისის უფასო რეკლამირებას პროგრამის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე და ა.შ. ამასთანავე მათი დატვირთვა არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ მუშაობის მოტივაცია დაკარგონ.

## 5.2. სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობა

მართალია აღიშნულ მოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო სამენარმეო პროგრამებში ქალთა ჩართულობაზე, მაგრამ პრობლემის სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია სოციალური პოლიტიკის საკითხებს შევხებით. პოლიტიკის მნარმეობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის უკვე აღიარებული საკითხია, რომ ქალთა გაძლიერების ქვაკუთხედი სხვა საკითხებთან ერთად გენდერულად მგრძობიარე სოციალური პოლიტიკის წარმოებაა. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავის უახლეს ანგარიშში გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს ტრანსფერების (უმუშევრობის ბენეფიტი, ბავშვთა ბენეფიტი და ა.შ.) ხოლო, მეორე მხრივ, სოცია-

ლური სერვისების მნიშვნელობაზე.<sup>31</sup> ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მოვლის (ბავშვის, ხანდაზმულის, ავადმყოფის), ჯანმრთელობისა (მათ შორის ფიზიკური და ფსიქიკური) და წყალმომარაგების/სანიტარული მომსახურებები. ლოგიკა მარტივია: ეს აქტივობები ეხმარება ქალს თავი გაითავისუფლოს საოჯახო საქმიანობისაგან და დრო გამოახოს პროდუქტიული ეკონომიკური საქმიანობისთვის.

აღნიშნულ საკითხზე კვლევები ჩატარდა საქართველოშიც, რომლებშიც სერვისებზე წვდომის პრობლემურობა და შესაბამისი რეკომენდაციები დეტალურად არის ასახული (მაგ. იხილეთ „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“).<sup>32</sup> ამდენად, მოცემული ანგარიშის ფარგლებში ამ საკითხს არ ჩავუღრმავდებით.

## პროგრამაში ჩართვის უმდგომარეობა

### 5.3. წვდომა ფინანსებზე

ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აქილევსის ქუსლია როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ მოკვლევის ფარგლებში შესწავლილი პროგრამები როგორც სოფლის მეურნეობის სფეროში, ისე მის გარეთ, მთავარ აქცენტს სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე აკეთებს, რაც გამოიხატება პროექტების/პროგრამების თანადაფინანსებით და შეღავათიანი კრედიტებით, როდესაც სახელმწიფო სესხის პროცენტის თანადაფინანსებას აკეთებს და მინიმუმადე ჩამოჰყავს სესხის მიმღების მიერ გადასახდელი პროცენტი. ცხადია, აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. სტატისტიკური მონაცემებიც იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსი პროექტების არსებობამ მნიშვნელოვნად გაზარდა, მაგალითად, აგროსფეროში გაცემული სესხების მოცულობა.

თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქვეყანაში არსებული მენარმეობის პროგრამების მთავარი მიზანი ბიზნესის განვითარებაა და არა მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი/ღარიბი ჯგუფის ხელშეწყობა. ეს კონცეპტუალური განსხვავება უდიდესი მნიშვნელობისაა და იგი აისახება კიდევ პროგრამების დიზაინში. ზოგადად, ბიზნესის განვითარების იდეა არსშივე მოიცავს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დახმარება-ხელშეწყობასაც (მაგ., ქალების) თუმცა პროგრამების სტატისტიკა (ქალების ჩართულობა) გვიჩვენებს, რომ ეს ნაგულისხმევი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვერ ხორციელდება. ამის მიზეზი ქალსა და მამაკაცს შორის საქართველოში არსებული სისტემური და ინსტიტუციური უთანასწორობებია. მაგალითად:

<sup>31</sup> <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/poww-2015-2016-en.pdf?la=en&vs=0>

<sup>32</sup> [http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/gender-equality-in-georgia.html](http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/gender-equality-in-georgia.html)



ქალები ნაკლებად ფლობენ აქტივებს, რომელთაც სესხის უზრუნველსაყოფად გამოიყენებდნენ. ამდენად რაც არ უნდა გავაიოლოთ სესხის გაცემა, მასზე ხელმისაწვდომობა ქალებისთვის შეზღუდული იქნება;



შემოსავლებში არსებული დიდი სხვაობის გამო ქალებს უჭირთ, თუნდაც, იმ მცირე თანადაფინანსების თანხის მოძიება, რაც საჭიროა საგრანტო პროექტებში. შესაბამისად, აქაც მამაკაცი ბენეფიციარების რაოდენობა სჭარბობს ქალი ბენეფიციარებს რაოდენობას.

მრავალი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ კომერციული ბანკები არ არიან მოტივირებული იმუშაონ მოსახლეობის ყველაზე ღარიბ სეგმენტთან. მათ მიერ შეთავაზებული საბანკო პროდუქტები კი ხშირად აცდენილია ღარიბი მოსახლეობის საჭიროება-შესაძლებლობებს და არც გენდერულ საკითხებს ითვალისწინებს.<sup>33</sup> მაგალითად, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში ჩატარებული კვლევის<sup>34</sup> მიხედვით კომერციული ბანკების უმეტესობა აცხადებდა, რომ მათი საკრედიტო პოლიტიკა გენდერულად ნეიტრალური და არადისკრიმინაციული იყო. თუმცა ნეიტრალურობა ხშირად გენდერულ საჭიროებებს ვერ ითვალისწინებს. ბანკების უმეტესობა სესხის გაცემის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ასახელებს საკრედიტო ისტორიასა და გირავნობის შესაძლებლობას. საჭიროა ბიზნეს სტრატეგიის არსებობა, წინა ბიზნესგამოცდილება და აპლიკანტის კვალიფიკაციები. იმის ფონზე, რომ ქალებს ფორმალური შრომის ბაზარი ნაკლებად უკავიათ და ქონება მათ სახელზე რეგისტრირებული იშვიათადაა, ისინი აპრიორი არამომგებიან სიტუაციაში ხვდებიან.<sup>35</sup>

ისეთ სიტუაციაში, როდესაც დაფინანსების ერთადერთ წყაროს კომერციული ბანკები წარმოადგენენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს შუამდგომლობას. სწორედ ამ მოტივით, სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების ფარგლებში, ბანკებთან მოპალარაკების შედეგად დადგინდა გარკვეული საშელავათო პირობები (მაგ. პროცენტის ზედა ჭერი, საშელავათო პერიოდი - იხ. წინა სექცია). მოკვლევის პროცესში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გააჟღერა მოსაზრება, რომ მსგავსი საშელავათო პირობების სია უფრო მრავალფეროვანი შეიძლება იყოს და, მაგალითად, მოიცვას შემდეგი: ქალებს შეიძლება იგივე ვალდებულება ეკისრებოდეს, რაც კაცებს, თუმცა კარგი იქნება აღნიშნული ვალდებულებების უფრო დიდ დროში განერა.

<sup>33</sup> <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/poww-2015-2016-en.pdf?la=en&vs=0>

<sup>34</sup> [https://read.oecd-ilibrary.org/development/women-in-business-2014\\_9789264213944-en#page145](https://read.oecd-ilibrary.org/development/women-in-business-2014_9789264213944-en#page145)

<sup>35</sup> იქვე

თუმცა, ცხადია, მსგავსი პირობების ჩადება, ერთი მხრივ, მოითხოვს სახელმწიფო პროგრამების მხრიდან იმის აღიარებას, რომ ქალები სტრუქტურულად დაჩაგრულები არიან და, მეორე, მხრივ, მათი განხორციელება ბანკების მხრიდან თანამშრომლობის სურვილზეა დამოკიდებული.

## დაფინანსების ალტერნატიული წყაროები

იმის გამო, რომ კომერციული ბანკები თავიანთი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე არ მიიჩნევა დაფინანსების საუკეთესო გზად, ბევრ ქვეყანაში მოისინჯა დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმები, უმეტესად, ე.წ. განვითარების ბანკის ან მსგავსი ტიპის არაკომერციული ბანკების სახით, რომლებიც იქმნება როგორც სამოქალაქო ორგანიზაციების ან მოქალაქეების, ასევე სახელმწიფო ინიციატივით.

მართალია სხვადასხვა ქვეყანაში მიდგომები მცირედით განსხვავებულია, თუმცა მსგავსი ტიპის ბანკების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ იგი გასცემს უპროცენტო (ან ძალიან დაბალპროცენტულ) სესხს, რომლისთვისაც უზრუნველყოფა საჭირო არ არის. სათემო განვითარების ბანკების კარგი მაგალითია ბრაზილია, სადაც უკვე რამდენიმე ასეთი ბანკი ფუნქციონირებს<sup>36</sup>. ისევე, როგორც ინდოეთის მაგალითის შემთხვევაში (იხ. ჩანართი 2), ბრაზილიის ბანკებაც სხვადასხვა საკითხის გარშემო შექმნილი სამოქალაქო გაერთიანებებისაგან წარმოიშვა. თავდაპირველი კაპიტალის მობილიზება აქაც წევრების შენატანით განხორციელდა, თუმცა მოძლიერების შემდეგ სათემო ბანკებმა შეძლეს ფინანსური რესურსის მნიშვნელოვნად გაზრდა ბრაზილიაში არსებულ კომერციულ თუ სახალხო ბანკებთან გარიგებების შედეგად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის სათემო განვითარების ბანკების შექმნას ხშირად ორგანიზებას უწევენ კოოპერატივების მიერ შექმნილი გაერთიანებებიც.

მსგავსი სახის საზოგადოებრივი ინიციატივებიდან წამოსული ფინანსური ინსტიტუტების შექმნის პერსპექტივა საქართველოში ძალზე სუსტია. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთი გამოცდილების შესწავლას, როდესაც სახელმწიფო თავად იწყებს განვითარების ბანკის შექმნას<sup>37</sup>(იხ. ჩანართი 5). მსგავსი გამოცდილება არსებობს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში განვითარების ბანკის შესახებ წინასწარი შეფასება უკვე განხორციელებულია გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მიერ, რაც მნიშვნელოვანი ხელჩასაჭიდი შეიძლება იყოს ამ მიმართულებით.

<sup>36</sup> [http://www.unrisd.org/unrisd/website/newsview.nsf/\(httpNews\)/492A681B2A2F6D9CC1257BE900409F00?OpenDocument](http://www.unrisd.org/unrisd/website/newsview.nsf/(httpNews)/492A681B2A2F6D9CC1257BE900409F00?OpenDocument)

<sup>37</sup> [http://www.isigrowth.eu/wp-content/uploads/2015/11/working\\_paper\\_2015\\_1.pdf](http://www.isigrowth.eu/wp-content/uploads/2015/11/working_paper_2015_1.pdf)

#### ჩანართი 4: თვითდასაქმებულ ქალთა ასოციაცია (SEWA), ინდოეთი

თვითდასაქმებულ ქალთა ასოციაცია ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია მშრომელთა თვითორგანიზებისა, რომელმაც საკუთარი ბანკის შექმნა მოახერხა. SEWA შეიქმნა 1971 წელს ტექსტილის სფეროში მშრომელთა კავშირის საფუძველზე. თავდაპირველი მიზანი წევრების შრომითი უფლებების დაცვა, დამსაქმებელ კომპანიებთან დავის წარმოებაში ურთიერთდახმარება და კონსულტაციის გაწევა იყო. თუმცა მალევე ორგანიზატორებმა გააცნობიერეს, რომ მსგავსი ხერხებით წევრი ქალების სიღარიბიდან ამოყვანა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ასე გაჩნდა ბანკის შექმნის იდეა, თუმცა აღნიშნულისათვის ძალიან დიდი ფინანსური რესურსი (დაახლოებით 20 000USD) იყო საჭირო. იმის ფონზე, რომ წევრების უმრავლესობა უკიდურესად ღარიბი ფენის წარმომადგენლები იყვნენ ეს მიუღწევლად ითვლებოდა. თუმცა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ერთერთი წევრის ისტორიულმა სიტყვამ: "ჩვენ შეიძლება ღარიბები ვიყოთ, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ". 6 287 წევრის მიერ მობილიზებული მიზერული თანხებით (დაახ. 20 ცენტი) მათ მოახერხეს 14 000 აშშ. დოლარის მობილიზება. დღეისათვის ბანკი გასცემს როგორც სესხებს, ასევე სთავაზობს შემნახველი ანგარიშების მომსახურებას და გააჩნია საგანმანათლებლო კომპონენტიც ფინანსურ სფეროში. სოფლებში ბანკი წარმოდგენილია თვითდახმარების ჯგუფებით, რომელთაც დემოკრატიულად არჩეული ლიდერები წარმართავენ. ორგანიზაციის წევრობა 2 მილიონამდეა გაზრდილი.

წყარო: [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_emp/---emp\\_policy/documents/publication/wcms\\_234890.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_policy/documents/publication/wcms_234890.pdf)

#### ჩანართი 5: სახელმწიფო განვითარების ბანკები - მცირე მიმოხილვა

დღეისათვის მსოფლიოში 520-ზე მეტი განვითარების ბანკი ფუნქციონირებს. ისინი საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენენ და მათი ძირითადი მანდატია ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ეფექტის მოცემა და რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ დაფინანსდებოდნენ კერძო ბანკების მიერ. განვითარების ბანკები, როგორც წესი, ქვეყნის განვითარების ადრეულ ეტაპზე იქმნება იმ პროექტების დასაფინანსებლად, რაც ზოგადად სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს. სწორედ მსგავსი მიზნით შეიქმნა ისინი სინგაპურში (1968წ.), იაპონიაში (1951), სამხრეთ კორეაში (1954), სადაც მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნების ეკონომიკურ სასწაულში. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული მოწყობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად სინგაპურის განვითარების ბანკი ძირითადად სახელმწიფო მფლობელობაშია, თუმცა ჰყავს კერძო აქციონერებიც. მაშინ როდესაც, მაგალითად, იაპონიის განვითარების ბანკი 100%-ით სახელმწიფო მფლობელობაშია. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მსხვილი სახელმწიფო ქონების პრივატიზებით მიღებული ფინანსური რესურსი უპროცენტო სესხების გასაცემად გამოიყენა. განვითარების ბანკების ფუნქცია და მნიშვნელობა იკლებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, თუმცა ამ საკითხზე შეჯერებული მოსაზრება მკვლევარებს შორის არ არსებობს.

წყარო: [http://en.agi.or.jp/user04/759\\_178\\_20110623093859.pdf](http://en.agi.or.jp/user04/759_178_20110623093859.pdf)

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ქალებს ფინანსურ რესურსებზე წვდომას უადვილებს - ეს მექანიზმია ქალთა ხაზის გაჩენა ადგილობრივ ბიუჯეტში. მაგალითად, 1972 წლიდან მოყოლებული ნიგერიის მთავრობა ახორციელებს სოფლის მეურნეობის სფეროში პროექტებს, რომელიც შესაბამისი სამინისტროს მიერ ფინანსდება. თუმცა აღნიშნულმა პროექტებმა დიდად ვერ შეუწყო ხელი ქალებში სიღარიბის შემცირებას. ამ პრობლემის გამო ერთ-ერთი შტატის მთავრობამ გადაწყვიტა 2018 წელს თავის ბიუჯეტში სპეციალური ხაზი გაეჩინა მცირე მენარმე ქალებისათვის. ამის საჭიროებას შტატის მთავრობა იმით ხსნის, რომ ცენტრალურად, სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ პროექტებში, ქალების ჩართულობის მაჩვენებელი დაბალი იყო და მათ ბევრი ბარიერის გადალახვა უწევდათ. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებული პროექტი კი გაცილებით ხელმისაწვდომია (როგორც ფინანსურად, ისე ფიზიკურად) ქალებისათვის და გაცილებით უკეთეს შედეგებსაც აჩვენებს. ეს ბიუჯეტის ხაზი არამარტო დაფინანსებისთვის, არამედ ტრენინგებისა და სწავლებისთვისაც გამოიყენება.

#### 5.4. ბიზნეს კონსულტირება და ტექნიკური დახმარება

ფინანსებზე წვდომა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა ახალბედა მენარმეთა წარმატებისათვის. როგორც თავად ბენეფიციარები აღნიშნავენ, მათთვის დაფინანსების მიღების შემდეგ საქმის წარმართვის ცოდნა და სხვადასხვა თემაზე შინაარსობრივი ტრენინგი გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პროექტის წერის სწავლა.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევებიც აღნიშნულ თემაზე დაახლოებით ერთგვაროვან დასკვნას იძლევა. მაგალითად, უგანდაში<sup>39</sup> სუბსიდირებული მიკროკრედიტის პროგრამა ეფექტური აღმოჩნდა მამაკაცებისთვის, თუმცა ქალების შემთხვევაში საგრძნობი ეფექტი თითქმის არ მოუხდენია. ასევე ტანზანიის<sup>40</sup> შემთხვევაში შემნახველი ანგარიშების პროგრამამ მართალია შეძლო, რომ წვრილმა მენარმე ქალებმა თანხების მობილიზება მოახერხეს, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდინა მათ მიერ განხორციელებულ გაყიდვებზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, ნიკარაგუაში ჩატარებული შეფასების<sup>41</sup> მიხედვით, საკრედიტო დახმარებამ, რომელიც ბიზნესტრენინგთან ერთად განხორციელდა, მნიშვნელოვნად გაზარდა მონაწილე ქალებისა და კაცების შემოსავალი.

<sup>39</sup> <https://ideas.repec.org/a/eee/wdevel/v105y2018icp189-200.html>

<sup>40</sup> <https://www.cgdev.org/sites/default/files/short-term-impacts-improved-access-mobile-savings-business-training.pdf>

<sup>41</sup> [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=3336383](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3336383)



თუ განვაზოგადებთ, დამწყები და წვრილი მენარმეებისათვის ფინანსურ დახმარებასთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმოების შესახებ ტრენინგი და ასევე მუდმივი ხელმისაწვდომობა ბიზნეს კონსულტაციებზე საქმიანობის დაწყებიდან პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო დახმარების პროექტებში პოპულარული ხდება ისეთი მომსახურების შექმნა, სადაც პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარისთვის ქოუჩინგისა და მენტორინგის საშუალებით მუდმივად ხელმისაწვდომია მსგავსი სახის ტრენინგები/კონსულტაციები. გარდა ამისა, ლიტერატურაში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ განსაკუთრებით ქალი მენარმეების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომ ქალები, ზოგადად, უფრო ფრთხილები არიან, ნაკლებად მიდიან რისკზე და ასევე ნაკლებად აქვთ განვითარებული ე.წ. ტრანსვერსული უნარები (soft skills)<sup>42</sup>. ამდენად, ტრენინგების შინაარსის დიზაინის დროს გასათვალისწინებელია ბენეფიციართა კონკრეტული ჯგუფი და მათი საჭიროებები.

მსგავსი სახის მუდმივი სწავლება/კონსულტაციების არარსებობა შესასწავლი მენარმეობის პროგრამების დიდ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალი (ისევე, როგორც კაცი) აპლიკანტები არათუ მსგავსი სახის სწავლებას ვერ იღებენ, არამედ მათ ხშირად თავად პროგრამებში გარკვევაც უჭირთ.

მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ აღნიშნული მომსახურება მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს ქალთან, რათა შეუმციროს დემოტივაცია. როგორც საჯარო შეხვედრების დროს აღნიშნავდნენ ბენეფიციარები, ტრენინგები მათ რეგიონულ ცენტრებში უტარდებოდათ, რაც, ცხადია, დამატებით ფინანსურ და დროით რესურსთან იყო დაკავშირებული. ქალის ტრადიციული შრომითი ვალდებულებებიდან გამომდინარე მათთვის ამ დროის გამოთავისუფლება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა.

## 5.5. მიწის საკითხი

მიწის და, ზოგადად, აქტივების ფლობის უფლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მოკვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მიწაზე, როგორც აქტივზე, ხელმისაწვდომობა ქალებს წინააღობას უქმნის სამენარმეო პროგრამებში ჩასართავად 2 მიზეზით:


<sup>42</sup> <https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2019/02/Empowering-women-entrepreneurs-in-developing-countries-190215.pdf>

- სოფლის პროექტების უმეტესობაში მონაწილეობისათვის წინაპირობაა მიწის ნაკვეთის ფლობა;
- ბანკიდან სესხის აღების შემთხვევაში უმეტესად მოითხოვება უძრავი ქონებით (მათ შორის მიწით) უზრუნველყოფა.

აქტივების ფლობასა და მენარმეობაზე გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვების შესახებ საქსტატის მიხედვით უძრავი ქონების განცხადებული (ანუ არაფორმალური) მფლობელობის წილი ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე დოკუმენტირებული მფლობელობის წილი (იხ. სურათი 4). გენდერული განსხვავება ყველაზე მაღალია სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში, სადაც დოკუმენტირებული მფლობელი მამაკაცების რაოდენობა ორჯერ აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. განცხადებული მფლობელობის შემთხვევაში, გენდერული განსხვავება 14 პროცენტულ პუნქტს უახლოვდება.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის მაჩვენებელი უფრო მაღალია სოფლად და სწორედ სოფლად გენდერული უთანასწორობა ყველაზე მეტადაა გამოხატული. ასევე უნდა ითქვას, ისიც, რომ აქტივების მფლობელი ქალების დიდი ნაწილი არის ქვრივი, გაშორებული ან განქორწინებული. ამდენად, აქტივების ფლობის საკითხი ქალებისთვის ძირითადად მაშინ დგება, როდესაც იგი მართო რჩება (მამაკაცი პარტნიორის გარეშე).

სურათი 4: მფლობელების წილი უძრავი ქონების ტიპის მიხედვით (%)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018

სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა საქართველოში 1992 წელს დაიწყო. თუმცა რეფორმას არ ჰქონდა კონცეპტუალური საფუძვლები, ხშირ შემთხვევაში სოციალური მღელვარების თავიდან ასაცილებლად მიწის ძალიან მცირე ზომის ნაკვეთები პრაქტიკულად მთელი ქვეყნის მოსახლეობას გადაეცა. თავიდანვე ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების უფლების დაცვის მკაფიოდ უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც დღემდე მოსაწესრიგებელია. არსებული გენდერული დისბალანსი მიწის ფლობასთან დაკავშირებით სწორედ აღნიშნულ პერიოდიდან იჩენს თავს: კერძოდ, 90-იან წლებში მიწის ნაჩქარევი პრივატიზაციის დროს მიწის ნაკვეთების პრივატიზაცია ძირითადად ოჯახის უფროსებზე (მამაკაცებზე) ხდებოდა<sup>43</sup>, რაც განპირობებული იყო კულტურული შეხედულებებითა და გენდერული სტერეოტიპებით, რომ მიწის ფლობა/მართვა მამაკაცის საქმეა.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტრადიციების გარდა, ქალის მიერ აქტივის (მიწის) ფლობაზე რამდენიმე სხვა ფაქტორიც მოქმედებს. ესენია კანონმდებლობა და საქორწინო რეჟიმი. ცხადია, უმნიშვნელოვანესია, რომ კანონმდებლობით დადგენილი იყოს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება აქტივების ფლობაზე. თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, რადგან ბევრ ქვეყანაში მართალია კანონი ამ მხრივ დისკრიმინაციული არ არის, თუმცა ტრადიციის მიხედვით უპირატესობა მაინც მამრობითი სქესის შთამომავალს ენიჭება მიწის რეგისტრაციის დროს. ამასთანავე, საქორწინო რეჟიმი ზოგიერთ ქვეყანაში აყალიბებს აქტივებთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ქალისა და მამაკაცის მიერ აქტივების ფლობასა და განკარგვაზე.

ამდენად, აუცილებელი ხდება ზრუნვა იმაზე, რომ ქალები მეტად ფლობდნენ მიწას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის რეგისტრაციის საკითხს. როგორც სურათი 4 აჩვენებს, იმ ქალების წილი, ვისაც განცხადებულ მფლობალობაში აქვთ მიწა, ორჯერ აღემატება იმ ქალების წილს, ვისაც მიწა დოკუმენტირებულად გააჩნია - ამდენად დიდია იმ ქალების რაოდენობა, ვინც მიწას არაფორმალურად ფლობს და ამით კარგავს შესაძლებლობას ეკონომიკურ პროგრამებში მიიღოს მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წ. 1 აგვისტოს ძალაში შევიდა კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ, რომლის ფარგლებში რიგი ინიციატივები იქნა შემოტანილი პროცესის გამარტივებისათვის. პროცესი უფასო იყო მოქალაქისათვის. გამარტივება საჭირო გახდა იმდენად, რამდენადაც მოსახლეობას ხშირად არ ჰქონდა ფაქტიურ საკუთრებაში არსებული მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მათი მოძიება საჭირო იყო ბევრი სხვადასხვა უწყებიდან. აღნიშნული კანონი ძალაში იყო 2018 წლის 1 ივლისამდე, რომელიც მოგვიანებით 2019 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით 307 000-ზე მეტმა მოქალაქემ დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი. თუმცა, როგორც საქსტატის უკანასკნელი მონაცემები აჩვენებს, დოკუმენტირებული ფლობა ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია (განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში).

<sup>42</sup> ინტერვიუ - ფერმერ ქალთა ასოციაცია

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ლიტერატურაში მინაზე საკუთრების საკითხში უპირატესობა ქალების მხრიდან მინაზე თანამფლობელობის სტატუსს ენიჭება, ვიდრე ინდივიდუალურ მფლობელობას.<sup>44</sup> სამხრეთ აფრიკისა და სხვა ღარიბი ან განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე გაეროს ქალთა ორგანიზაცია ასკვნის, რომ მართალია ინდივიდუალურად მიწის რეგისტრაცია ზრდის ქალის ძალაუფლებას, მაგრამ ღარიბი ქვეყნების უმეტესობაში ქალი თავის ოჯახზე დამოკიდებული სხვადასხვა რესურსის წვდომის თვალსაზრისით, ამდენად, მნიშვნელოვანია მან შეინარჩუნოს იმ სხვა რესურსებზე წვდომა, რაც ოჯახის სხვა წევრებს გააჩნიათ. აღნიშნულის განხორციელება კი გაცილებით მარტივად ხდება თანამფლობელობის შემთხვევაში.<sup>45</sup>

თანამფლობელობის პრაქტიკა საქართველოში იშვიათია. უფრო მეტიც, არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს შესაძლებლობა მოსახლეობისათვის უცნობია. მაგ., სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პრაქტიკაში დაფიქსირდა ასეთი შემთხვევა: დადგენილი 30%-იანი კვოტა ვერ ივსებოდა ქალი აპლიკანტებით. პროექტის მიმდინარეობა შეაჩერეს, რათა თანხა არ გახარჯულიყო კაც აპლიკანტებზე. მას შემდეგ, რაც მოსახლეობაში გავრცელდა ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე, დაიწყო აპლიკაციების შემოღინება, სადაც ბენეფიციარად ფიქსირდებოდა ქალი (მეუღლეებმა მინა გადაუფორმეს ცოლებს), თუმცა სააგენტოში მას მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენდა ქმარი. ქალების „შირმად“ გამოყენების ფაქტები უხვად დადასტურდა ასევე სხვა პროგრამების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაფინანსებული კაცი ბენეფიციარებისათვის გარკვეული პირობების წაყენება თავიანთი მეუღლეების თანამფლობელად რეგისტრირებასთან დაკავშირებით დიდ წინააღმდეგობას არ წააწყდება აპლიკანტების მხრიდან.

მიწასთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი საკითხია მისი იჯარით აღების შესაძლებლობა. არსებული სისტემით, იმისათვის, რომ მიწის ნაკვეთი გაიყიდოს ან იჯარით გაიცეს, სახელმწიფოს მიერ აუცილებელია აუქციონის გამოცხადება. აღნიშნულ პროცესს კურირებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. აუქციონი, ცხადია, გულისხმობს იმას, რომ მიწის ფლობის ან იჯარით აღების შესაძლებლობა ეძლევა მას, ვინც ყველაზე მეტს გადაიხდის. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაციის ანალიზი კარგად აჩვენებს, რომ ფერმერი ქალი, რომელიც ძალიან მწირ ფინანსურ რესურსს ფლობს, ფაქტობრივად უუნაროა, გაიმარჯვოს აუქციონში. ამდენად, აუცილებელი იქნება აღნიშნული სისტემის გამარტივება, თუკი საუბარია ქალებისათვის რეალური შესაძლებლობის მიცემაზე, ჩაერთონ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში.

აქტივების მნიშვნელობაზე საუბრისას ლიტერატურაში ასევე დიდი ადგილი უჭირავს საქორწინო რეჟიმების განხილვას<sup>46</sup> ჩვეულებრივ არსებობს სამი საქორწინო-

<sup>44</sup> <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1471-0366.00052>

<sup>45</sup> იქვე

<sup>46</sup> <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/poww-2015-2016-en.pdf?la=en&vs=0>

ნო რეჟიმი - საერთო საკუთრება, ნაწილობრივი საერთო საკუთრება და საკუთრების გაყოფა. საერთო საკუთრების რეჟიმის შემთხვევაში, წყვილის თითოეული წევრის კუთვნილი ქონება ითვლება ერთობლივ საკუთრებად. ნაწილობრივი საკუთრების შემთხვევაში ქორწინებამდე მეუღლის საკუთრებაში არსებული ან მემკვიდრეობით მიღებული ითვლება პირად საკუთრებად, ხოლო ქორწინებაში ყოფნის პერიოდში შეძენილი - საერთო საკუთრებად. საკუთრების გაყოფის რეჟიმის შემთხვევაში ნებისმიერი სახის ქონება ითვლება ერთპიროვნულ საკუთრებად და ქორწინება არ იძლევა მეუღლის ქონებაზე რაიმე უფლებას.<sup>47</sup> საერთაშორისო პრაქტიკით საერთო საკუთრების სისტემებში ქალები უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან (მაგ., ეკვადორი), ვიდრე საკუთრების გაყოფის სისტემის მქონე ქვეყნებში (მაგ., განა, ინდოეთი). პირველის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ქალის მიერ ოჯახში განეული არაანაზღაურებადი შრომა ფასდება და ქალს ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება აქვს. ქორწინებაში მყოფი ქალები ნაკლებად ახერხებენ აქტივების ინდივიდუალურად შეძენას.<sup>48</sup>

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობით მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენს. თუმცა მეუღლეებს შეუძლიათ საკუთრებისათვის კანონით დადგენილი ეს წესი შეცვალონ საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების, ისე განქორწინების შემთხვევაში.<sup>49</sup> იქიდან გამომდინარე, რომ განქორწინებების რიცხვი საქართველოში მზარდია, მნიშვნელოვანია ქალებს ჰქონდეთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ, რაც შეამცირებს მათი დაზარალების საფრთხეს განქორწინების შემთხვევაში.

## 5.6. პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა

პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა ერთხმად დასახელდა ბენეფიციარი ქალების მიერ საჯარო შეხვედრების დროს. განსაკუთრებით ეს ეხება სოფლად და რეგიონებში მცხოვრებ ქალებს. საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა ორ მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას: გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვის პრინციპი და სავაჭრო/იმპორტის პოლიტიკის რევიზია.

<sup>47</sup> <https://www.geostat.ge/media/13803/EDGE-Report-GEO-Final.pdf>

<sup>48</sup> <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/poww-2015-2016-en.pdf?la=en&vs=0>

<sup>49</sup> <https://napr.gov.ge/p/309>

## გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვის პრინციპები

აღნიშნული პრინციპების ინიციატორი გაეროს ქალთა ორგანიზაციაა, რომელიც ცდილობს თავის ყველა ოპერაციაში განამტკიცოს და ხელი შეუწყოს საკუთარი ძირითადი მანდატის განხორციელებას, რომელიც გენდერული თანასწორობისა და ქალების გაძლიერებას გულისხმობს. გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვები გულისხმობს ისეთი მომსახურებისა და საქონლის შესყიდვას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპი.<sup>50</sup> ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ქალთა მფლობელობაში არსებულ ბიზნესებისგან (women-owned business) შესყიდვების წახალისებას. გაეროს ქალთა ორგანიზაციის განმარტების მიხედვით ქალთა ბიზნესის განსაზღვრება შემდეგნაირია: იურიდიული პირი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, რომლის 51% არის ქალების ფლობის, მენეჯმენტის ან კონტროლის ქვეშ. მსგავსი სახის სერთიფიცირების შემოღება იძლევა შესაძლებლობას, ვაწარმოოთ სტატისტიკაც და შესყიდვების პროცესში წავახალისოთ მსგავსი ტიპის ბიზნესები, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთესი კონკურენცია გაუწიონ მამაკაცების მიერ დომინირებულ ბიზნესს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით მსხვილი ბიზნესის მიერ შესყიდვებზე განეული დანახარჯის 1%-ზე ნაკლები მოდის ქალების ბიზნესზე.<sup>51</sup> ამასთანავე, ცნობილია, რომ:

- ქალების ბიზნესი, როგორც წესი, გაცილებით მცირეა კაცების მიერ მართულ ბიზნესთან შედარებით, იქნება ეს შემოსავლების, ბრუნვისა თუ თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით;
- ქალების ბიზნესის საშუალო ზრდის დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება კაცების ბიზნესის იგივე მაჩვენებელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგები ხდება, თუ რა ლოგიკა უდევს საფუძვლად გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვების იდეას. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ იდეის განხორციელებას მოჰყვება რიგი პრაქტიკული საკითხებისა, პირველ რიგში კი ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ქალის ბიზნესის იდენტიფიცირება. ცხადია, ეს ცალკე ანალიზის საკითხია, თუმცა შესაძლებელია საერთაშორისო ინიციატივების განხილვა იდეების გენერირებისათვის (იხ. ჩანართი 5).

გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვების საკითხი სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება საჯარო შესყიდვებში. კერძოდ, სოფლად არსებული მცირე მეწარმეებისაგან საჯარო შესყიდვების განხორციელება ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებულ პრაქტიკად გადაიქცა, რაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ფერმერი ქალებისათვის. მაგალითად, 2008-2013 წლების განმავლობაში მსოფლიო სასურსა-

<sup>50</sup> <http://www.unwomen.org/en/about-us/procurement/gender-responsive-procurement>

<sup>51</sup> <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2017/the-power-of-procurement-how-to-source-from-women-owned-businesses-en.pdf?la=en&vs=237>

თო პროგრამა საპილოტე პროექტის ფარგლებში ძირითად საკვებ პროდუქტებს ყიდულობდა 20 ქვეყანაში არსებული 500 000-მდე წვრილი ფერმერისაგან. მართალია, პროგრამაში არსებული ქალთა 50%-იანი კვოტის შევსება ვერ მოხერხდა, თუმცა შეფასებებმა აჩვენა, რომ მსგავსმა კამპანიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალი ფერმერების გაძლიერებას და მათი უნარების გაუმჯობესებას.<sup>52</sup>

## ჩანართი 5. ქალების ბიზნესის ბრენდირება

2014 წელს ქალთა ბიზნესის ეროვნულმა საბჭომ (WBENC)\* და WEConnect Interntional- მა სავაჭრო სფეროს გიგანტის "ვოლმარტის" მხარდაჭერით შეიმუშავეს და ჩაუშვეს ინიციატივა სახელწოდებით "Women Owned". კამპანიის მიზანი იყო მომხმარებლებს მარტივად შეძლებოდათ პროდუქტის ყიდვის დროს მოეხდინათ იმ პროდუქციის იდენტიფიცირება, რომლებიც ქალთა ბიზნესის მიერ იყო წარმოებული. კომპანიები, რომელთაც ქალთა ბიზნესის სერთიფიკატი ჰქონდათ მინიჭებული ეროვნული საბჭოს მიერ იღებდნენ უფლებას თავიანთ პროდუქციაზე განეთავსებინათ "Women Owned"-ის ლოგო. 2015 წელს ვოლმარტი იყო პირველი კომპანია, სადაც ხდებოდა მსგავსი ლოგოს მატარებელი პროდუქციის გაყიდვა, როგორც ფიზიკურ მაღაზიებში, ისე ონლაინ. ასევე ვოლმარტმა შექმნა ვებგვერდი, სადაც ხდებოდა ქალთა ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია. ეს უკანასკნელი მოიცავდა პრდოუქტების ფართო სპექტრს დაწყებული ტანსაცმლით დასრულებული ელექტრონიკითა და საოჯახო მოწყობილობებით.

\* WBENC წარმოადგენს ქალთა ბიზნესის მასერტიფიცირებელ უწყებას აშშ-ში

წყარო:

<http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2017/the-power-of-procurement-how-to-source-from-women-owned-businesses-en.pdf?la=en&vs=237> გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017

გენდერულად პასუხისმგებლიანი საჯარო შესყიდვების კარგი მაგალითია, ასევე, ბრაზილია. წვრილი ფერმერებისაგან საკვები პროდუქტების შეძენა ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც 2003 წლიდან ხორციელდება. 2009 წლიდან კი ადგილობრივ მთავრობებს/ხელისუფლებებს დაევალოთ სკოლებში კვების ეროვნული პროგრამის დასაფინანსებლად ცენტრიდან წამოსული ფულადი რესურსის მინიმუმ 30% გამოეყენებინათ ოჯახური მეურნეობებისაგან საკვების შეძენაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლებში კვების ეროვნული პროგრამა 49 მილიონ ბავშვს აერთიანებს. მსგავსი ინიციატივის გატარება საქართველოს შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება საჯარო საბავშვო ბაღების შემთხვევაში, რომლებიც 100%-ით საბიუჯეტო დაწესებულებებს წარმოადგენენ.

<sup>52</sup>

<http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/poww-2015-2016-en.pdf?la=en&vs=0>

## 5.7. პროგრამების სტრატეგიული მიზნებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკური დაკავშირების აუცილებლობა

თუკი პროდუქციის რეალიზაციის პრობლემას უფრო ფართო კონტექსტში შევხედავთ, კითხვა უნდა დავსვათ თავად მენარმეობის პროგრამების საფუძველმდებარე იდეაზე. განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების უმეტესეობაში სახელმწიფოს მხრიდან მენარმეობის ნახალისების პროგრამები ინდუსტრიული პოლიტიკის ნაწილია - სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის გეგმა (მაგ. დაბალპროდუქტიული დარგებიდან წარმოების უფრო მაღალპროდუქტიულ სექტორში გადატანა). აღნიშნულის შესაბამისად კი სახელმწიფო იწყებს მენარმეების ნახალისებას მათი სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით, აღნიშნული დარგების სატარიფო დაცვით და ა.შ.<sup>53</sup>

საქართველოში მოკვლევის ფარგლებში განხილულ პროგრამებს მსგავსი სტრატეგიული ხედვები თან არ ახლავს. პროგრამების გაცხადებული მიზანია ზოგადად მენარმეობის განვითარება. აღსანიშნავია, რომ როგორც პროგრამაში „ანარმოე საქართველოში“, ისე სოფლის მეურნეობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტებში არსებობს პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალი, თუმცა ნათელი არაა, რამდენად უკავშირდება აღნიშნული დარგები ქვეყნის სავაჭრო და საექსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტებს. არსებული ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის პირობებში იქმნება რისკი, რომ სახელმწიფო, ერთი მხრივ, აფინანსებდეს კონკრეტული პროდუქციის წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ პროდუქციის მწარმოებლებს განვითარების შესაძლებლობას უსპობდეს იმავე სახის პროდუქციის დიდი რაოდენობით იმპორტით ქვეყანაში.

აღნიშნული საკითხი მრავალჯერ იქნა წამოწეული მენარმე ქალების მიერ საჯარო შეხვედრებზე:

„მე ყველაზე მეტად გამიჭირდა იმ სფეროს დადგენა, რაში უნდა დამეწერა პროექტი. ჩემმა მეზობლებმა მაყვალნი დარგეს და კარგად წაუვიდათ საქმე, თუმცა მეორე წელს მოსავალი ვერ შეინახეს და გადასაყრელი გაუხდათ. მეც რომ იგივე გავაკეთო არ ვიცი რამდენად მომგებიანი იქნება“. - საჯარო შეხვედრის მონაწილე, ჩოხატაური

<sup>53</sup>

<http://siteresources.worldbank.org/INTLED/Resources/339650-1194284482831/4356163-1211318886634/SingaporeProfile.pdf>



„კარგი იქნება, სახელმწიფომ დაადგინოს პრიორიტეტები რეგიონების მიხედვით და გათვალოს, რა უფრო მომგებიანი იქნება, ინდივიდუალურად ძალიან ძნელია ამაში გარკვევა“.  
- საჯარო შეხვედრის მონაწილე, ჩოხატაური

ბენეფიციარების ეს ფრაზები მიუთითებს, რომ ინდივიდუალური მენარმისათვის რთულია დაადგინოს, რომელი პროდუქციის ექსპორტი იქნება უფრო წარმატებული. აღნიშნულზე, ცხადია, დიდი ზეგავლენა აქვს ქვეყანაში არსებულ სავაჭრო ხელშეკრულებებს და ზოგადად სავაჭრო პოლიტიკას. მსგავსი ტიპის ანალიზს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უნდა აწარმოებდეს და აწვდიდეს პოტენციურ აპლიკანტებს, რომ ისინი მეტად ინფორმირებული იყვნენ და გონივრული გადაწყვეტილება მიიღონ.

მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებების მთლიანად ბენეფიციარებზე მინდობით იქმნება სხვა სახის ჩავარდნებიც. მაგალითად, ქალი ფერმერები ხშირად ასახელებდნენ პროდუქციის შესანახ სამაცივრე მეურნეობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, რაც პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციის შანსებზე. პრობლემის არსებობიდან გამომდინარე, აპმა-მ აღნიშნულისთვის სპეციალური პროგრამა შექმნა, რომლითაც აფინანსებს მსგავსი სახის მეურნეობების შექმნას. თუმცა ინდივიდუალური ინიციატივები არ არის გარანტი იმისა, რომ ამა თუ იმ სოფელში ან რეგიონში სამაცივრე-შესანახი ან სხვა ტიპის გადასამუშავებელი მეურნეობები საკმარისი მოცულობის იქნება. აქ იკვეთება სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, რომელმაც მთლიანი სურათის ანალიზის საფუძველზე უნდა შექმნას შესაბამისი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა.

ბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სამეწარმეო პროგრამების ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირება თავისთავად გულისხმობს დიდი სიფრთხილის გამოჩენას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დროს. რიგი კვლევების<sup>54</sup> აჩვენებს, რომ ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს არაერთგვაროვანი შედეგი აქვს შრომაზე განვითარებად ქვეყნებში, სადაც შექმნილი სამუშაო ადგილები ხშირად დაბალკვალიფიციური, დაბალ-ანაზღაურებადია და სრულდება ქალების მიერ. ამდენად, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს მაღალტექნოლოგიურ და "ცოდნატევად" სფეროებში ინვესტიციის მოზიდვაზე, აღნიშნულის შესაბამისად კი იმავე სფეროებში საჭიროა მეწარმეობის წახალისება სახელმწიფო პროგრამების საშუალებით. ამ სახით ქვეყანაში გაცილებით უკეთესი სამუშაო ადგილები შეიქმნება, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის.

<sup>54</sup> <https://idl-bnc-idrc.dspacedirect.org/bitstream/handle/10625/57160/IDL-57160.pdf?sequence=2&isAllowed=y>

## 6. რეკომენდაციები

მოკვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი კომპლექსური პრობლემებია. ხშირად მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო ინიციატივები ცდება კონკრეტული სააგენტოების მანდატს. თუმცა ამ საკითხების გაუმჯობესების გარეშე მხოლოდ სააგენტოები თავიანთ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებით ვერ მოახერხებენ სასურველი შედეგის მიღებას.

სწორედ ამიტომ რეკომენდაციები დაყოფილია ორ ნაწილად: 1. ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის ცვლილებაზეა მიმართული და რომელთაც სხვადასხვა ადრესატი ჰყავს და 2. სპეციფიური რეკომენდაციები, რომლებიც კონკრეტულად მოკვლევის პროცესში ჩართულ სააგენტოებზეა მიმართული.

### ზოგადი რეკომენდაციები

- სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ეხება პროდუქციის რეალიზაციას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება იმას, რომ ქალების მიერ წარმოებული ბიზნესი, უმეტეს შემთხვევაში გაცილებით მცირემასშტაბიანია და მთლიანი შესყიდვების ძალიან მცირე ნაწილი მოდის მათზე. აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად მოქნილია გაეროს ქალთა ორგანიზაციის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ქართულ კონტექსტში შეიძლება შემდეგი რეკომენდაციების სახით ფორმულირდეს:

1. შემუშავდეს ქალის ბიზნესის სერთიფიცირების კონცეფცია; - განისაზღვროს მასერთიფიცირებელი ორგანო და სერთიფიკაციის წესი;

2. შემუშავდეს გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვების პრინციპი და მის შესახებ ცნობადობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში;

3. დაიწყოს მოკვლევა იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც საჯარო (სახელმწიფო) შესყიდვებში წაახალისებენ ბიზნესის სერთიფიკატის მქონე კომპანიებისაგან პროდუქციის შეძენას.

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 5.6. გვ.44

- პროდუქციის რეალიზაციის პრობლემას უფრო ფართო კონტექსტში თუ შევხედავთ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში დაფინანსებული პროექტები ისეთ სექტორებს უნდა ავითარებდეს, რომლებიც სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესში შედის. შესაბამისად, ქვეყნის მიერ გატარებული მაკროეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ამ პრინციპთან. მაგალითად, არალოგიკურია, თუ სახელმწიფო აფინანსებს ხორბლის წარმოებას, მაგრამ ამავედროულად ხორბლის მეწარმეებს უზღუდავს განვითარების შესაძლებლობას აღნიშნული პროდუქციის იმპორტზე კონტროლის არარსებობით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია:

4. სამეწარმეო პროგრამების შემუშავების დროს განისაზღვროს ქვეყნისათვის ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგები და ლოგიკურად დაკავშირდეს ქვეყანაში გატარებულ საინვესტიციო პოლიტიკას;

5. ქვეყნისათვის ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის შემდეგ ამ სფეროებში მოღვაწე მეწარმეების იმპორტირებული პროდუქციისაგან დაცვის მექანიზმები;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 5.7. გვ.46

- უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მიწაზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია ქალებისათვის. შედეგად მათ შეზღუდული აქვთ კრედიტზე ხელმისაწვდომობა. მიწის ფონდის მართვისა და რეგისტრაციის საკითხი საქართველოში, ზოგადად, ძალიან პრობლემურია, თუმცა მოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჭიროა გამოინახოს გზები, რომელთა საშუალებითაც ქალებს მიწაზე მეტ ხელმისაწვდომობას მივცემთ. შესაბამისად, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

6. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილე ქალებისათვის შესაძლებელი იყოს მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია უფასოდ;

7. შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს აკმა-ს პროექტებში (რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას) მონაწილე ქალებს სახელმწიფოსგან მიწა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 5.5. გვ.39-43

- როგორც საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა, ისე ადგილობრივი ბენეფიციარების დაბრკოლებები აჩვენებს, რომ კომერციული ბანკები ვერ იქნება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დაფინანსების ეფექტიანი წყარო. ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების თვალსაზრისით კომერციული ბანკების ალტერნატივაა სახელმწიფო განვითარების ბანკები. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

8. დაიწყოს მოკვლევა განვითარების ბანკის შექმნის პერსპექტივების შესახებ საქართველოში;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 5.7. გვ.35-37

- ზოგადი რეკომენდაციებიდან ბოლო მიემართება სოფლის მეურნეობის დარგში სტრატეგიულ დაგეგმვას. კერძოდ, მოკვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ არაეფექტურია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (მაგ. სამაცივრე, სასაწყობე, საშრობი მეურნეობები) იქმნებოდეს მხოლოდ საგრანტო პროექტის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, სოფელსა თუ რეგიონში არსებული ფერმერების ბედი მინდობილია კერძო პირის ინიციატივას, გააკეთოს მსგავსი სამაცივრე მეურნეობა. ცხადია, შეუძლებელია იმის გათვლა, გამოჩნდება თუ არა მსგავსი პროექტის განხორციელების მსურველი პოტენციურ ბენეფიციარებს შორის. ამდენად, მსგავსი სახის კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურას უნდა ქმნიდეს სახელმწიფო.

9. რეგიონების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნეს აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, იმისათვის რომ ეს საკითხი მინდობილი არ იყოს ფერმერთა ინდივიდუალურ ინიციატივას.

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 4.2. გვ.25

## სპეციფიური რეკომენდაციები

- როგორც პროგრამის „ანარმოე საქართველოში“, ისე „აპმა“-ს შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობისაა გენდერულად დაყოფილი მონაცემების შეგროვება პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე: განაცხადების მიღება, დაფინანსება თუ პროექტების შედეგების მონიტორინგი/შეფასება. მსგავსი სახის ინფორმაცია შესაძლებლობას მისცემს სააგენტოებს დაინახონ რა უკეთ მუშაობს ქალებისთვის და რა - არა. შესაბამისად ისინი შეძლებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროგრამირებას.

1. დაიწყოს გენდერულად სტატისტიკის წარმოება პროექტების შესახებ. კერძოდ, პროექტების მიხედვით ინარმოოს სტატისტიკა შემოსული განაცხადების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სქესობრივ ჭრილში;

2. განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში მოხდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად სეგრევირებული მონაცემების წარმოება;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 4.1

- უშუალოდ პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ შემთხვევაში მიზანშეწონილია:

3. ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მათ მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უნცება

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 4.1

- როგორც მოკვლევის შედეგები აჩვენებს, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გამარტივდეს პროგრამაში განაცხადის წარდგენის პროცედურები. ელექტრონულად წარმოებული აპლიკაციის პროცესი ბევრი ქალისთვის დამატებითი დაბრკოლებაა, ამასთანავე, საოჯახო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ქალების მობილობა (განსაკუთრებით სოფლად) შეზღუდულია. შესაბამისად, აპლიკაციის პროცესთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციები:

4. განაცხადის ელექტრონულად გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში;

აპმა-ს შემთხვევაში დამატებით:

5. განაცხადის არაელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მაქსიმალურად გამარტივდეს აპლიკაციის პროცესი: შესაძლებელი გახდეს განაცხადის ჩაბარება რეგიონულ ოფისებში. შესაძლებლობის ფარგლებში შემცირდეს თბილისში საჭირო ვიზიტების რაოდენობა;

6. შემუშავდეს სპეციალური სერვისი, რომელიც აპლიკანტებს საკურიერო მომსახურებას გაუწევს: კვირაში ან 2 კვირაში ერთხელ გააგზავნის ნიმუშებს რეგიონიდან თბილისში და თბილისიდან გამოაგზავნის სხვადასხვა უწყების მიერ გაცემულ ცნობებს;

7. აპმა-ს პროექტებში ჩართულმა ლაბორატორიებმა ეტაპობრივად დაიწყონ მიღებული ნიმუშის შესახებ ცნობების ელექტრონულ რეჟიმში გაცემა, რომელიც პირდაპირ გაეგზავნება აპლიკანტს და აპმა-ს.

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 4.1

- მოკვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ თავად ქალების ჯგუფში არსებობენ განსაკუთრებით მონყვლადი ჯგუფები: კერძოდ, დევნილი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. აღნიშნულ ჯგუფთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია:

8. პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;

კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შემთხვევაში:

9. კოოპერატივებისთვის დაფინანსების მიღების წინაპირობად, შესაძლებლობის შემთხვევაში, დააფიქსიროს კოოპერატივის მეპაიეთა შორის დევნილთა გარკვეული მინიმალური რაოდენობა;

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის შემთხვევაში:

10. შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდონ პროგრამების ბიუჯეტი;

11. წაახალისონ/მხარი დაუჭირონ სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების ბენეფიციარებს მიიღონ დამატებითი დაფინანსება აპმა-ს პროექტებიდან;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 4.2

- მოკვლევაში ჩართული ორივე უწყების შემთხვევაში მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ინფორმაციის გავრცელება პროგრამების შესახებ და პოტენციური აპლიკანტების მოტივირება, ჩაერთონ მათში. აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად საჭიროა:

12. სააგენტოებმა მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების არხებად;

13. გაიზარდოს პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში;

14. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.);

15. შეიქმნას წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში;

16. სააგენტოებმა, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავონ როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და ნახალისების მექანიზმები;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 4.1 და 5.1

- როგორც შედეგების ანალიზის დროს გამოჩნდა, პროგრამის ბენეფიციარ ქალებს განსაკუთრებით უჭირთ ბანკიდან სესხის აღება. ისეთ პირობებში, როდესაც განვითარების ბანკის შექმნა შორეული პერსპექტივაა, მნიშვნელოვანია შესაძლებლობის ფარგლებში შეღავათიანი პირობები შეიქმნას ქალებისათვის სესხის ასაღებად. აღნიშნულმა შეიძლება მოიცვას შემდეგი:

17. აპმა-მ განიხილოს საკრედიტო-საგარანტიო სქემის\* შემოღება ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები.

\* აწარმოე საქართველოში გამოცდილების მიხედვით

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 5.3

18. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის ნახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება).

აპმა-ს შემთხვევაში დამატებით:

19. აპმა-ს პროექტებში, რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას, ქალების შემთხვევაში საკმარისი იყოს მეუღლის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შესახებ ცნობა;

რეკომენდაციის საფუძველი: თავი 5.5

- მიწაზე და უძრავ ქონებაზე ქალების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით, ცხადია, მნიშვნელოვანია მათ სახელზე ქონების რეგისტრაციის ხელშეწყობა და ნახალისება. ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს ქალების მიერ საოჯახო საწარმოებში შესრულებული შრომის აღიარება და დაფასება. პროგრამებთან დაკავშირებით ეს შეიძლება ასე განხორციელდეს:
- მოკვლევაში ჩართული სააგენტოების პროგრამების ბენეფიციარებისათვის აუცილებელ საჭიროებად გამოიკვეთა დაფინანსების მიღების შემდგომ მუდმივი კონსულტაციისა და სწავლების აუცილებლობა ბიზნესის წარმოების სხვადასხვა მიმართულებით. ამდენად მიზანშეწონილია:

20. სააგენტოების მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება:

პოტენციური აპლიკანტებისათვის ბანკის კრედიტოფიცერთან გასაუბრებისთვის მომზადება (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა);

დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.)

- დასასრულს, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მოსმენების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების მხრიდან მრავალგზის გაჟღერებული იდეა ქალებისათვის ცალკე საგრანტო პროექტის შემუშავების შესახებ. ამ უკანასკნელის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე სააგენტომ გამოყოს ცალკე ბიუჯეტი ქალებზე გამიზნული პროგრამისათვის. აღნიშნული პროგრამა თავდაპირველად შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პილოტური ინიციატივა, ხოლო მისი შედეგების შეფასების შემდეგ კი გადაწყდეს მისი სამომავლო განვითარების საკითხი. მსგავსი მიდგომა შეიძლება კვოტების სისტემის კარგ ალტერნატივად მივიჩნიოთ, რადგან ქალებს აღარ მოუწევთ კაც აპლიკანტებთან კონკურენცია და, ამასთანავე, მხოლოდ მათთვის შემუშავებული პროექტი მეტი მოტივაციის მიმცემი შეიძლება გახდეს. აღნიშნულ პროგრამას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები მონაწილეობის ბარიერების შესამცირებლად:



პროგრამის „ანარმოე საქართველში“ შემთხვევაში:

- იყოს საგრანტო ხასიათის და სთავაზობდეს თანადაფინანსების შედარებით მაღალ წილს;
- ბენეფიციარისათვის შესაძლებელი იყოს 5000-დან 10 000 ლარამდე გრანტის მიღება;

“აკმა”-ს შემთხვევაში:

- იყოს საგრანტო ხასიათის და სთავაზობდეს თანადაფინანსების შედარებით მაღალ წილს;
- განხორციელდეს ისეთ დარგებში, რომლებშიც აუცილებელი არ იქნება მიწის ნაკვეთის ფლობა (მაგ., მეცხოველეობა, მეფრინველეობა).

21. სააგენტოებმა შეიმუშავეს საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

N	რეკომენდაციები	ადრესატი უწყებები
1	შემზავდეს „ქალთა ბიზნესის“ სერთიფიკირების კონცეფცია; განისაზღვროს მასერთიფიკირებელი ორგანო და სერთიფიკაციის წესი	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2	შემზავდეს გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვების პრინციპი და ამალდდეს მის შესახებ ცნობადობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში	საქართველოს მთავრობა
3	დაიწყოს მოკვლევა იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც საჯარო (სახელმწიფო) შესყიდვებში წახალისებენ ქალთა ბიზნესის სერთიფიკატის მქონე კომპანიებისაგან პროდუქციის შექმნას	საქართველოს მთავრობა
4	სამწინარემო პროგრამების შემუშავების დროს განისაზღვროს ქვეყნისათვის ეკონომიკურად პროორიტეტული დარგები და ისინი ლოგოკურად დაუკავშირდნენ ქვეყანაში გატარებულ საინვესტიციო პოლიტიკას	საქართველოს მთავრობა
5	ქვეყნისათვის ეკონომიკურად პროორიტეტული დარგების განსაზღვრის შემდეგ შემზავდეს ამ სფეროებში მოღვაწე მენარმეების იმპორტი-რეზული პროდუქციისაგან დაცვის მექანიზმები	იუსტიციის სამინისტრო
6	სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში მონა-ნილე ქალებისათვის შესაძლებელი იყოს მინის ნაკვეთის რეგისტრაცია უფასოდ	იუსტიციის სამინისტრო
7	შემზავდეს მექანიზმი, რომელიც შესაძლე-ბლობას მისცემს აპმა-ს პროექტებში (რომელშიც მინის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას) მონაწილე ქალებს სახელმ-ნიფოსგან მინა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე;	იუსტიციის სამინისტრო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
8	დაიწყოს მოკვლევა განვითარების ბანკის შექმ-ნის პერსპექტივების შესახებ საქართველოში	საქართველოს მთავრობა
9	რეგონების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნეს აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტ-რუქტურა, იმისათვის რომ ეს საკითხი მინდობილი არ იყოს ფერმერთა ინდივიდუალურ ინიციატივას	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

N	რეკომენდაციები მოკვლევაში ჩართული უწყებებისთვის	“ანარმომე საქართველოში”	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
1	დაიწყოს გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება პროექტების შესახებ. კერძოდ, პროექტების მიხედვით ინარჩონოს სტატისტიკა შემოსული განაცხადების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სექსობრივ ჭრილში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
2	განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში მოხდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად დაყოფილი მონაცემების წარმოება	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
3	ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ დადამკვეთების მიმღები და მათ მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უნაყობა	<input checked="" type="checkbox"/>	
4	განაცხადის ელექტრონული ფორმით გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
5	განაცხადის არაელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მაქსიმალურად გამართვდეს აპლიკაციის პროცესი: შესაძლებელი გახდეს განაცხადის ჩაბარება რეგიონულ ოფისებში. შესაძლებლობის ფარგლებში შეძირდეს თბილისში საჭირო ვიზიტების რაოდენობა.		<input checked="" type="checkbox"/>
6	შემუშავდეს სპეციალური სერვისი, რომელიც აპლიკანტებს საკურიერო მომსახურებას გაუწევს: კვირაში ან 2 კვირაში ერთხელ გააგზავნის ნიმუშებს რეგიონიდან თბილისში და თბილისიდან გამოგზავნის სხვადასხვა უწყების მიერ გაცემულ ცნობებს		<input checked="" type="checkbox"/>
7	აპმა-ს პროექტებში ჩართულმა ლაბორატორიებმა ეტაპობრივად დაიწყონ მიღებული ნიმუშის შესახებ ცნობების ელექტრონულ რეჟიმში გაცემა, რომელიც პირდაპირ გაგზავნება აპლიკანტს და აპმა-ს		<input checked="" type="checkbox"/>
8	პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
9	კოოპერატივებისთვის დაფინანსების მიღების წინაპირობად, შესაძლებლობის შემთხვევაში, დააფესოს კოოპერატივის მეპაიეთა შორის დეფინილითა გარკვეული მინიმალური რაოდენობა		კოოპერატივების განვითარების სააგენტო
10	შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდონ პროგრამების ბიუჯეტი		დეფინილითა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
11	ნაახალისონ/მხარი დაუჭირონ სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების ბენეფიციარებს მიიღონ დამატებითი დაფინანსება აპმა-ს პროექტებიდან		

N	რეკომენდაციები მოკვლევაში ჩართული უწყებებისთვის	“ანარმოდ საქართველოში”	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
12	სააგენტოებმა მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების არხებად	✓	✓
13	გაიზარდოს პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზებში, რომ მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში	✓	✓
14	საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ., ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.)	✓	✓
15	შექმნას ნარმატიული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში	✓	✓
16	სააგენტოებმა, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავონ როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და ნახალისების მექანიზმები	✓	✓
17	აპმა-მ განიხილოს საკრედიტო-საგარანტიო სექტორის შემოღება ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო სანარმოებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები		✓
18	კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის ნახალისებისათვის (მაგ., დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება)	✓	✓
19	აპმა-ს პროექტებში, რომელშიც მიზნის ფლობა ნარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას, ქალების შემთხვევაში საკმარისი იყოს მეუღლის სახელზე რეგისტრირებული მიზნის ნაკვეთის შესახებ ცნობა		✓
20	სააგენტოების მიერ შეთავაზებულ მომსახურებებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა რეგულარული კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება; პოტენციური აპლიკანტებისათვის - ბანკის კრედიტოფიცერთან გასაუბრებისთვის მომზადება (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა); დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის - ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.)	✓	✓
21	სააგენტოებმა შეიმუშავონ საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით	✓	✓

## დანართი 2: მოკვლევის ფარგლებში შემოსული წერილობითი მოსაზრებები

მოკვლევის ფარგლებში წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

ასოციაცია „თანხმობა“

ასოციაცია „ჰერა“

გაეროს განვითარების პროგრამა

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში

კავშირი „საფარი“

საქართველოს მდგრადი განვითარების ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

სსიპ „ანარმოე საქართველოში“

ფერმერ ქალთა ასოციაცია

ფონდი „სოხუმი“

შპს „ანასტასია“

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

### **დანართი 3: მოკვლევის ფარგლებში გამართული საპარლამენტო მოსმენები**

22 აპრილი

კავშირი „საფარი“

ასოციაცია „თანხმობა“

ფონდი „სოხუმი“

გაეროს განვითარების პროგრამა

24 აპრილი

ფერმერ ქალთა ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში

შპს. „ანასტასია“

14 მაისი

სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

15 მაისი

სსიპ „ანარმოე საქართველოში“

## ბიბლიოგრაფია

გაეროს განვითარების პროგრამა - საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, 2013;

გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს პარლამენტი -გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, ნაწილი 1, 2018;

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - სომხეთისა და საქართველოს შრომის ბაზრის რეგულაციების გენდერული ანალიზი, 2018;

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება, 2018;

კავშირი „საფარი“ - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში - არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი, 2017;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის No. 139 განკარგულება „შელავათიანი აგროკრედიტის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის დადგენილება No.365 – „ანარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე, აქტივების ფლობასა და მენარმეობაზე, 2018;

Amyx, J, Maria Toyoda, A. – The Evolving Role of National Development Banks in East Asia. The International Centre for the Study of East Asian Development. Working Paper Series, 2006

Centre for Global Development – Short-term Impacts of Improved Access to Mobile Savings, with and without Business Training: Experimental Evidence from Tanzania, 2018;

Fiala, Nathan, – Returns to microcredit, cash grants and training for male and female microentrepreneurs in Uganda. World Development, Elsevier, vol.105 ©, 2018;

;

International Development Research Centre – Women’s Economic Empowerment and Trade, Policy Brief, Growth and Economic Opportunities for Women;

International Labour Organization – Learning from Catalysts of Rural Transformation, 2015;

Kim, B. Rodrigues-Ramirez, R. Yang H. – Does the Small Business Program Benefit Self-employed Workers? Evidence from Nicaragua, 2019;

Mazzucato M. Penna C. – The rise of mission-oriented state investment banks: the cases of Germany’s KfW and Brazil’s BNDES, Working Paper, 2015;

OECD – Women in Business, Accelerating Entrepreneurship in the Middle East and North Africa Region, 2014;

OECD/European Union – Policy Brief on Women’s Entrepreneurship, 2017;  
Siba E. – Empowering women entrepreneurs in developing countries, why current programs fall short. Africa Growth Initiative, 2019;

UN Women – The Power of Procurement: How to Source from Women-owned Businesses, Corporate Guide to Gender-Responsive Procurement, 2017;

UN Women – Transforming Economies, Realizing Rights. Progress of the World’s Women 2015-2016, 2015;

Walker, C. – Piety in the Sky? Gender Policy and Land Reform in South Africa, Journal of Agrarian Change, 2003;

World Bank – Singapore Local Economic Development: The Case of the Economic Development Board;

World Bank Group – Promoting Women’s Economic Empowerment, What Works? Policy Research Working Paper, 2014;





